

585  
1991



ISSN 0203—2023



1991

№ 5

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს  
უწყებები

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამოცემა

თ ბ ი ლ ი ს ი

656-1111



# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 5 (610)

მაისი

1991 წელი

## შ ი ნ ა ბ რ ს ი

ბანკოფილება პირველი

- 336. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების შესახებ.
- 339. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება რესპუბლიკაში პურის საცალო ფასების მოწესრიგების შესახებ.
- 340. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების შესახებ.
- 341. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ.
- 342. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება სახსრების მიღების წყაროების შესახებ მოქალაქეთა მიერ დეკლარაციის წარდგენის გაუქმების თაობაზე.
- 343. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა მატერიალური დახმარების შესახებ.
- 344. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დემუტატთა საოლქო საბჭოს 1991 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების შესახებ.
- 345. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება შ. ა. წინწალაშვილის ქ. გურჯაანის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.
- 346. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ზარჯთაღრიცხვის შესახებ.

საქართველოს  
ბიბლიოთეკა  
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

347. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ა. ფ. რციხიადის ქ. თელავის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.
348. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. გ. გველეხიანის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.
349. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება რკინიგზისა და საპაერო ტრანსპორტით სტუდენტი და მისწავლე ახალგაზრდობის მგზავრობაზე შეღავათების შესახებ.
350. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისათვის, მისი პირველი მოადგილისა და ამ სასამართლოს წევრებისათვის საკვალიფიკაციო კლასების მინიჭების შესახებ.
351. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.
352. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან გასულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ.
353. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება მოსახლეობისათვის სარეალიზაციო საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული გაყიდვიდან 5-პროცენტაინ გადასახადის გაუქმების შესახებ.
354. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონის შესახებ.
355. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.
356. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თნის რაიონის საზღვრების დამტკიცების შესახებ.
357. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ვავის რაიონის საზღვრების დამტკიცების შესახებ.
358. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ხანხურის რაიონის საზღვრების დამტკიცების შესახებ.
359. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება გორის რაიონის საზღვრების დამტკიცების შესახებ.
360. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ქარელის რაიონის საზღვრების დამტკიცების შესახებ.
361. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ვ. მ. ალელაშვილის ქ. ახალქალაქის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.
362. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება 1990-1991 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ენერგოსისტემაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობისა და წყალდიდობისას მიდროაიდგურების საშუალო მზადყოფნისა და 1991-1992 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის  
მეორე მიღებული კანონები და დადგენილებები

(10 მაისის სხდომა)

263. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გ. მ. თალაკვაძის სადამპურტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.
364. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 96 მარტილის და № 97 მესტიის საარჩევნო ოლქებში გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად არჩევნების შესახებ.
365. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება თბილისის რაიონების ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების პირველი სესიების მოწვევის შესახებ.
366. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ.
367. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის შემადგენლობის შესახებ.
- ~~368.~~ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ.
369. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.
370. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 21-ე მუხლის განმარტების თაობაზე.
371. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის თ. ა. ბეჟაშვილის სადამპურტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.
372. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე.

(14 მაისის სხდომა)

373. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა წევრების გაწვევის წესის შესახებ.
374. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა წევრების გაწვე-

- ვის წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.
375. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ.
376. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.
377. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დეზონსაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე.
378. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.
379. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ქ. თბილისის ლენინის რაიონისათვის სახელის გადარქმევის შესახებ.
380. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ.
381. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.
382. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე.

(28 მაისის სხდომა)

383. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება 1991 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ზოგიერთი საკითხის შესახებ.
384. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.
385. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება თ. გველსიანის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.
386. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა და საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.
387. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ.
388. საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესი. 60



- 389. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, რაიონების, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, თემებისა და სოფლებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის საკითხებზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა ან პრეზიდენტისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საცნობარო მასალების ნუსხა.
- 390. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
- 391. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
- 392. საქართველოს რესპუბლიკის კახობი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მოქმედების შეჩერების შესახებ.
- 393. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ.
- 394. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული განცხადება.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართებები**

- 395. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ბ. ელცინს.
- 396. საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს ბატონ მ. გორბაჩოვს, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ რ. ნიშანოვს.

**ბანაოფილიზა მისამი**

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის სს.დომები.

ბანქოფილიზა პირნელი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე მ ე ბ ა

**338** **საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების შესახებ**

სსრ კავშირის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით რესპუბლიკებს თავსმოხვეული სახალხო მოხმარების საქონელზე საცალო ფასებისა და ტარიფების გადიდება გულისხმობდა აგრეთვე 1991 წლის 1 მაისიდან სახელმწიფო საქალაქო ტრანსპორტით (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი და სხვ.) მგზავრობის ღირებულების გადიდებასაც.

რესპუბლიკის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად:

გაუქმდეს სახელმწიფო საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტზე (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი და სხვ.) „სატრანსპორტო მომსახურების ტარიფების რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 1 აპრილის № 246 დადგენილებით დაწესებული გადიდებული ზღვრული ტარიფები.

კატეგორიულად აეკრძალოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, სახელმწიფო და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებს, ორგანიზაციებს პროდუქციისა და მომსახურებაზე საცალო ფასებისა და ტარიფების შეცვლა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შესაბამის სამსახურთან შეთანხმების გარეშე.

ბრძანებულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზ. ჰამსახურდია**.

თბილისი, 1991 წლის 1 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის კრედიტების

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**339 რესპუბლიკაში პურის საცალო ფასების მოწესრიგების შესახებ**

სსრ კავშირის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების თავსმოხვეულმა მომატებამ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სამართლიანი უწყალო ფილება და გულისწყრომა გამოიწვია. მდგომარეობა იმითაც გამწვავდა, რომ პურის საცალო ფასები ცენტრმა გაადიდა 3-ჯერ, რესპუბლიკის მცირეშემოსავლიან და შრავალშვილიან ოჯახებს კი პურის საჭირო ოდენობით შეძენის შესაძლებლობაც არ გააჩნიათ.

რესპუბლიკაში პურის საცალო ფასების მოწესრიგების მიზნით:

1. 1991 წლის 6 მაისიდან გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება პურის საცალო ფასების გადიდების ნაწილში და აღდგენილ იქნეს 1991 წლის 2 აპრილამდე მოქმედი პურის საცალო ფასები.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ 6 მაისამდე უზრუნველყონ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში 1991 წლის 2 აპრილამდე მოქმედი პურის საცალო ფასების (პრეისკურანტის) თვალსაჩინო ადგილას გამოკვრა.

3. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ სახელმწიფო წესრიგი დაამყარონ საცალო ქსელში პურით ვაჭრობაში არსებული ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით კი ფასდამახინჯებათა ლიკვიდაციის საქმეში.

4. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მკაცრი კონტროლი დააწესოს პურის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის ასაკულებლად.

5. საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მკაცრი კონტროლი დააწესონ პურის სწორად ხარკვაზე, არ დაუშვან სოფლის მოსახლეობის მიერ პურის პირუტყვის საკვებად გამოყენება.

6. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ გამოიხატოს დამატებითი ფინანსური რესურსები პურის საცალო ფასების შემცირებით გამოწვეული ზარალის დასაფარავად.

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დააწესოს მკაცრი კონტროლი პურის საცალო ფასების სწორად გამოყენებისადმი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზ. ბამბახაშვილი**.



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**340** საგარეუბნო და საპალატაშორისო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების შესახებ

„საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 1 მაისის ბრძანებულების დამატებით ვ ა დ გ ე ნ :

გაუქმდეს სახელმწიფო საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსებით (რესპუბლიკათაშორის მიმოსვლის ავტობუსების გარდა) მგზავრობის „სატრანსპორტო მომსახურების ტარიფების რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 1 აპრილის № 246 დადგენილებით დაწესებული გადიდებული ზღვრული ტარიფები.

ბრძანებულება ძალაშია 1991 წლის 3 მაისიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 3 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**341** სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ

საცალო ფასების რეფორმისა და საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირობებში სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების მუშაკთა სოციალური დაცვის გაძლიერებისა და მწარმოებელი დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების დონიდან მათი ხელფასის ჩამოყალიბებული ჩამორჩენის ლიკვიდაციის მიზნით:

1. 1991 წლის 1 მაისიდან დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების და ორგანიზაციების წამყვანი პროფესიების მუშაკთა ხელფასის ახალი განაკვეთები და თანამდებობრივი სარ.



ვოები სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის 1991 წლის 20 მარტის № 70 დადგენილებით გათვალისწინებული პირობებისა და წესების დაცვით.

ამ დაწესებულებების სხვა მუშაკთა შრომის ანაზღაურება მოხდეს აღნიშნული დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მითითებულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოფს სათანადო სახსრები.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად უზრუნველყონ ბრძანებულების პირველ მუხლში აღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსება.

3. სათანადო სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებმა, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა უზრუნველყონ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების შესაბამის მუშაკთა შრომის ანაზღაურება ახალი პირობებით.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად დააწესონ სისტემატური კონტროლი ამ ბრძანებულების შესრულებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. პამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 4 მაისი.

საპარტვილო რესპუბლიკის პრეზიდენტი

ბ რ ძ ა ნ ი კ უ ლ ე შ ა

### 342 სახსრების მიღების წყაროების შესახებ მოქალაქეთა მიერ დეკლარაციის წარდგენის გაუქმების თაობაზე

სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით საცალო ფასების ვადიდებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ინფლაციური პროცესებიდან და რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე:

შეჩერდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე „უშრომელ შემოსავლებთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მმ.

ისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის № 575 დადგენილების მე-10 პუნქტის მოქმედება და გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ათი ათას მანეთზე მეტი თანხის გარიგებათა დადებისას, ოცი ათას მანეთზე მეტი ღირებულების საცხოვრებელი სახლის (აგარაკის) აშენებისას, აგრეთვე ადგილობრივი მართველობის ორგანოებისა და პროკურორის მოთხოვნით სახსრების მიღების წყაროების შესახებ დეკლარაციების წარმოდგენა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 6 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე მ ბ ა

### 343 მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა მატერიალური დახმარების შესახებ

1991 წლის 29 აპრილს მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა მატერიალური დახმარების მიზნით:

1. დაწესდეს ფულადი დახმარება შემდეგი ოდენობით:

ოჯახებისათვის, მიწისძვრის შედეგად აღაშანთა მსხვერპლის შემთხვევაში, ოჯახის თითოეულ გარდაცვლილ წევრზე — 2000 მანეთი;

ყოველ მოქალაქეზე, რომელმაც მიიღო ტრავმა, — 500 მანეთი;

სახლისა და სხვა ნაგებობათა დანგრევის, ავეჯისა და სხვა ქონების განადგურების შემთხვევაში — ერთ ოჯახზე — 4000 მანეთი და ოჯახის ყოველ წევრზე დამატებით — 500 მანეთი;

საცხოვრებელი სახლის, სხვა ნაგებობათა და საოჯახო ქონების დაზიანებისას, რომელთა გამოყენება შესაძლებელია შეკეთების შემდეგ, — ერთ ოჯახზე 1000 მანეთი;

საცხოვრებელი სახლისა და სხვა ნაგებობათა, აგრეთვე საოჯახო ქონების მცირედ დაზიანებისას — ერთ ოჯახზე 500 მანეთამდე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განსაზღვროს აღნიშნულ დახმარებათა დაფინანსების წყაროები.

2. მოქალაქეებს მიწისძვრის შედეგად დანგრეულ შენობა-ნაგებობათა სადაზღვევო ღირებულება აუნაზღაურდეთ 100 პროცენტით.

3. სტიქიური უბედურების ზონაში მცხოვრები მოქალაქეები 1991-1992 წლებში გათავისუფლდნენ სასოფლო-სამეურნეო და შენობის მფლობელთა გადასახადისა და მიწის გადასახადისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. ბაშახურობაძე.

თბილისი, 1991 წლის 6 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**344** ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დემოკრატიული საოლქო საბჭოს 1991 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების შესახებ

ამა წლის 4 მაისს ქ. ცხინვალში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დემოკრატიული საოლქო საბჭოს უკანონოდ მოწვეულ სესიებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ე. წ. საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რომელიც თუმცა არის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, მაგრამ თურქე ადმინისტრაციულად ექვემდებარება რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის იურიდიქციას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. ცნობილ იქნეს იურიდიული ძალის არქონე აქტად ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დემოკრატიული საოლქო საბჭოს 1991 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება.

2. აღნიშნული პროვოკაციული ფაქტის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისეული შეფასება ეცნობოს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მ. გორბაჩოვს, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ. ელცინს და საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ნიშანოვს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ბსათიანი,

თბილისი, 1991 წლის 7 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის კრედიტების

ბ რ ქ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

345 შ. ა. წინწალაშვილის ქ. გურჯაანის კრედიტის თანამდებობი-  
დან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს შალვა ავთანდილის ძე წინწალაშვილი ქ. გურჯაანის კრე-  
დიტის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. ბაშინაშვილი.

თბილისი, 1991 წლის 9 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტების

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

46 საქართველოს რესპუბლიკის კრედიტების არჩევნების ხარჯთ-  
ალრიცხვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებასთან  
აკავშირებით დაძტვიცდეს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარ-  
ჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა (ერთვის დედანს).
2. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და საქართველოს  
რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს გამოეყონ სათანადო სახსრები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**347** ა. ფ. რცხილაძის ქ. თელავის პრეზიუმის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ავთანდილ ფარნაოზის ძე რცხილაძე ქ. თელავის პრეზიუმის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 11 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**348** თ. გ. გველესიანის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს თამაზ გურამის ძე გველესიანი საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 13 მაისი.



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**349** რაინიგზისა და საპაერო ტრანსპორტით სტუდენტი და მოსწავ. ლე ახალგაზრდობის მგზავრობაზე შეღავათების შესახებ

საცალო ფასების რეფორმისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში რაინიგზისა და საპაერო ტრანსპორტით სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის მგზავრობაზე მოქმედი შეღავათები გაერთიანდეს მთელი წლის განმავლობაში.

ბრძანებულება ძალაშია 1991 წლის 15 მაისიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 15 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**350** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისათვის, მისი პირველი მოადგილისა და ამ სასამართლოს წევრებისათვის საკვალიფიკაციო კლასების მინიჭების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: მიენიჭეთ:

1. უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასი

მინდია გურამის ძე უგრეხელიძეს — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

2. პირველი საკვალიფიკაციო კლასი:

ვაჟა ბორისის ძე აბაკელიას — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს;

ჯამლეთ ვიორგის ძე ბაბილაშვილს — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრს;

ვურამ სამსონის ძე ლილუაშვილს — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრს;



თამარ სოლომონის ასულ **ყრუაშვილს** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრს.

3. შორეუ საკვალიფიკაციო კლასი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრებს:

- თეიმურაზ ბესარიონის ძე ბაქრაძეს;
- კარლო როსტომის ძე ბზიშვილს;
- მურთაზ არჩილის ძე გულედაძეს;
- ჯემალ ლევანის ძე ლეონიძეს;
- რუსუდან აგაბოს ასულ შველიძეს;
- ავთანდილ ვლადიმერის ძე წულუკიანს;
- დარიკო ავთანდილის ასულ ხელაიას;
- ვალერიან თენგიზის ძე ხრუსტალს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ბურბულაძე.

თბილისი, 1991 წლის 16 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ კ მ ე ნ ი ლ ე ბ ა

### **351** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 14 მაისის დადგენილებით შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ჯამბაყურ ბაქრაძე — საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე;

დიმიტრი მახარაძე — საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მთავარი კონსულტანტი;

აკაკი როსტიაშვილი — საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი;

თამარ ფადავა — საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი;

სულხან გოგინავა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო სასამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;



გიორგი გოლოშვილი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელ-  
მწიფოსა და საქართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ბურჭულაძე.

თბილისი, 1991 წლის 16 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**352** სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან გასულ ქარ-  
თველ სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ

რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად საბჭოთა არმიის,  
სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების შემადგენლო-  
ბიდან გასულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა გამოყენების მიზნით:

1. ეროვნულ გვარდიაში ჩარიცხვისას ქართველ ოფიცრებს, პრაპორშნი-  
კებს, მინდანებსა და ზევადანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს სამხე-  
დრო სტაჟში ჩაითვალოს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამ-  
სახურის წლები.

2. ვადიანი სამსახურის ის ქართველი სამხედრო მოსამსახურენი, რომლე-  
ბმაც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში იმსახურეს ერთი წელი  
და მეტი, ჩაითვალოს ჩარმოხდილად, ხოლო მათ, რომლებმაც ერთ წელზე ნა-  
კლები იმსახურეს, საქართველოს რესპუბლიკის გამწვევი კომისია გამოიძახებს  
სასწავლო შეკრებებზე შესაბამის სპეციალობებში მოსამზადებლად.

3. პირველ და მეორე პუნქტებში აღნიშნულ პირებს მიეცეთ პასპორტე-  
ბი იმ საცხოვრებელ ადგილას მუდმივი ჩაწერით, საიდანაც გაიწვიეს სავალ-  
დებულო სამხედრო სამსახურში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. გამსახურდია

თბილისი 1991 წლის 21 მაისი.

საქართველოს  
პრეზიდენტი



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**353** მოსახლეობისათვის სარეალიზაციო საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული გაყიდვიდან 5-პროცენტიანი გადასახადის შემოსავლის შესახებ

სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებითა და სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით თავსმოხვეულმა გაყიდვიდან 5-პროცენტიანი გადასახადის შემოღებამ მნიშვნელოვნად ვაუარესა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა და გამოიწვია მისი სამართლიანი გულისწყრომა.

რესპუბლიკის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 1991 წლის 23 მაისიდან რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაუქმდეს მოსახლეობისათვის სარეალიზაციო საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული გაყიდვიდან 5-პროცენტიანი გადასახადი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზ. გამსახურდია**.

თბილისი, 1991 წლის 22 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**354** „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121<sup>4</sup> მუხლის შესაბამისად:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე“.

ამასთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე საკახონხმდებლო ინიციატივის წესით დაისვას საკითხი, რათა საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე“



ზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

24-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს სიტყვები:

„ . . . . ., რომლის შესახებაც იგი გადაწყვეტილებას იღებს არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს ორი დღისა.“

25-ე მუხლში:

მესამე ნაწილს დაემატოს შემდეგი ტექსტი:

„იმ უბნებში, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, თუ ამომრჩეველთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ არჩევნებში მათ მონაწილეობას შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა არჩევნების ჩატარებულად ჩათვლაზე, არჩევნებში გამარჯვებულის გამოვლენაზე ან არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატების გამოვლენაზე, ამ უბნებში ტარდება ხელახალი ხმის მიცემა არჩევნების დღიდან ორი კვირის ვადაში.“

მე-4 ნაწილში სიტყვები „ორი კვირის“ შეიცვალოს სიტყვებით „სამი კვირის“;

მე-5 ნაწილს დაემატოს შემდეგი ტექსტი:

„საჩივრები არჩევნების ჩატარებისა და მისი შედეგების დადგენის კანონიერების თაობაზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს სამი დღისა. მათ შესახებ კომისია გადაწყვეტილებას იღებს არჩევნებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა.“

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და კომისიის მიერ საარჩევნო კანონის დარღვევის გამო საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება აქვთ პრეზიდენტობის კანდიდატს ან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მის პასუხისმგებელ წარმომადგენელს არჩევნების ჩატარებდან არა უგვიანეს ექვსი დღისა.

სასამართლოს, რომელიც საქმეს განიხილავს, გადაწყვეტილება გამოაქვს არჩევნების დღიდან არა უგვიანეს ცხრა დღისა. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ცენტრალური საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე აჩერებს არჩევნების შედეგების დადგენას.

თუ პრეზიდენტობის კანდიდატს, მის პასუხისმგებელ წარმომადგენელს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, პრეზიდენტობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ რომელიმე პირს ან საარჩევნო უბანში მის რომელიმე წარმომადგენელს დაუშტიციდება არჩევნების დღეს ამომრჩეველთა ნებაზე კანონით დაუშვებელი შემოქმედება, მაშინ შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილებით საარჩევნო კომისია გააუქმებს პრეზიდენტობის ამ კანდიდატისათვის მიცემული ხმების მთელ რაოდენობას ამ უბანში. იმ შემთხვევაში, როდესაც გაუქმებულ ხმათა

რაოდენობას შეიძლება ვაგვეთა მოეხდინა არჩევნების ჩატარებულად ჩათვლაზე, არჩევნებში სხვა გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენაზე ან არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატების გამოვლენაზე, შესაბამის უბნებში ტარდება ხელახალი ხმის მიცემა არჩევნების დღიდან ორი კვირის ვადაში“.

მე-6 ხაწილში რიცხვი „5“ შეიცვალოს რიცხვით „10“;

მე-8 ხაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ოქმის პირველი ცალი იხსნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მეორე ცალი გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს პრეზიდენტობის კანდიდატების წარმომადგენლებს“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. ბანსასურდია.

თბილისი, 1991 წლის 22 მაისი.

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ მ ე ბ ა

## 355 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგირთი დაღვნილი ბის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1973-1977 წლებში მიღებულ იქნა შოელი რივი დაღვნილებები რესპუბლიკის რეგიონების რაიონული და კვებარების სქემების დამტკიცების შესახებ. ამ დაღვნილებებით 620 სოფელი ჩაითვალი უპერსპექტივო, 184 სოფელი — შეზღუდული განვითარების სოფლი.

უპერსპექტივო სოფლებში აკრძალული იყო ახალი საკარმიდამო მიწის ზაკვეთების გამოყოფა, არ უნდა აშენებელიყო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები. ამ სოფლების მცხოვრებლები უნდა ვადისახლებულიყვნენ პერსპექტიულ სოფლებში. შეზღუდული განვითარების სოფლებში ასევე აკრძალებოდა საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფა, არსებულ ნაკვეთებზე ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა; დაშვებული იყო მხოლოდ არსებული საცხოვრებელი სახლების რემონტი. ამ დაღვნილებებით მაშინდელმა მთავრობამ ყბადაღებული კომუნისტური ლოზუნგის „კომუნისმის დროს ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების მოსპობის“ ბოლშევიკური გზა აირჩია და სასოკვილო განაჩენი გამოუტანა ბევრ ქართულ სოფელს; ამ სოფლებიდან უმრავლესობა უკვე ნასოფლარადაა ქცეული, სოლი მათ სარგებლობაში არსებული ათასობით ჰექტარი მიწა მიტოვებული და გამოუყენებელია. ასეთივე ბედი მოელის კიდევ 804 სოფელს.



ყოველივე აქედან გამომდინარე **3 ა დ გ ე ნ**:

I. გაუქმდეს საქართველოს სსრ ყოფილი მინისტრთა საბჭოს ქვემოთ ჩამოთვლილი დადგენილებები:

1. 1973 წლის 20 ივნისის № 398 „შიდა ქართლისა და თბილისის საგარე-უბნო ზონების რაიონული დაგეგმარების სქემების დამტკიცების შესახებ“, რითაც უპერსპექტივო და შეზღუდული განვითარების სოფლად ჩაითვალა 170 სოფელი;

2. 1974 წლის 26 ივნისის № 357 „დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის რაიონების დაგეგმარების პროექტების დამტკიცების შესახებ“, რითაც უპერსპექტივო და შეზღუდული განვითარების სოფლად ჩაითვალა 185 სოფელი;

3. 1975 წლის 7 იანვრის № 8 „კახეთის საგეგმარებელი რაიონის რაიონული სქემების დამტკიცების შესახებ“, რითაც უპერსპექტივო და შეზღუდული განვითარების სოფლად ჩაითვალა 36 სოფელი;

4. 1975 წლის 17 იანვრის № 38 „დასავლეთის (კოლხეთის) საგეგმარებელი რეგიონის რაიონული დაგეგმარების სქემისა და მასში შემავალი ადმინისტრაციული რაიონების რაიონული დაგეგმარების პროექტების დამტკიცების შესახებ“, რითაც უპერსპექტივო და შეზღუდული განვითარების სოფლად ჩაითვალა 46 სოფელი;

5. 1976 წლის 3 აგვისტოს № 533 „აფხაზეთის ასსრ რაიონული დაგეგმარების სქემისა და მასში შემავალი ადმინისტრაციული რაიონების რაიონული დაგეგმარების პროექტების ძირითად მიმართულებათა მოწონების შესახებ“, რითაც უპერსპექტივო და შეზღუდული განვითარების სოფლად ჩაითვალა 129 სოფელი;

6. 1976 წლის 3 აგვისტოს № 534 „აჭარის ასსრ რაიონული დაგეგმარების სქემისა და მასში შემავალი ადმინისტრაციული რაიონების რაიონული დაგეგმარების პროექტების მოწონების შესახებ“, რითაც უპერსპექტივო და შეზღუდული განვითარების სოფლად ჩაითვალა 33 სოფელი;

7. 1977 წლის 16 თებერვლის № 782 „სამხრეთ თსუთის ავტონომიური ოლქის რაიონული დაგეგმარების სქემისა და ოლქში შემავალი ადმინისტრაციული რაიონების რაიონული დაგეგმარების პროექტების მოწონების შესახებ“, რითაც უპერსპექტივო და შეზღუდული განვითარების სოფლად ჩაითვალა 205 სოფელი.

II. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის ტურხეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ქვეკომისიის უანლოეს პერიოდში უზენაეს საბჭოს წარუდგინოს დებულება ნასოფლარების აღდგენის შესახებ.

III. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უზრუნველყოს ამ დებულებით განსაზღვრულ ღონისძიებათა დროული განხორციელება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზ. ბამსახშვილი**.

თბილისი, 1991 წლის 23 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 356 ონის რაიონის საზღვრების დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარდგინების შესაბამისად ონის რაიონის ტერიტორია განისაზღვროს 174087 ჰექტარით.
2. დამტკიცდეს ონის რაიონის საზღვრები თანდართული აღწერილობის თანახმად (ერთვის დედანს).

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. ბამსახშრდია.

თბილისი, 1991 წლის 25 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 357 ჯავის რაიონის საზღვრების დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარდგინების შესაბამისად ჯავის რაიონის ტერიტორიის ფართობი განისაზღვროს 90338 ჰექტარით.
2. დამტკიცდეს ჯავის რაიონის საზღვრები თანდართული აღწერილობის თანახმად (ერთვის დედანს).

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. ბამსახშრდია.

თბილისი, 1991 წლის 25 მაისი.



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**358** საჩხერის რაიონის საზღვრების დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარდგინების შესაბამისად საჩხერის რაიონის ტერიტორიის ფართობი განისაზღვროს 97538 ჰექტარით.
2. დამტკიცდეს საჩხერის რაიონის საზღვრები თანდართული აღწერილობის თანახმად (ერთვის დედანს).

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზ. გამსახურდია**.

თბილისი, 1991 წლის 25 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**359** გორის რაიონის საზღვრების დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარდგინების შესაბამისად გორის რაიონის ტერიტორია განისაზღვროს 233596 ჰექტარით.
2. დამტკიცდეს გორის რაიონის საზღვრები თანდართული აღწერილობის თანახმად (ერთვის დედანს).

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზ. გამსახურდია**.

თბილისი, 1991 წლის 25 მაისი.



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**360** ქარაელის რაიონის საზღვრების დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარდგინების შესაბამისად ქარელის რაიონის ტერიტორია განისაზღვროს 109195 ჰექტარით.
2. დამტკიცდეს ქარელის რაიონის საზღვრები თანდართული აღწერილობის თანახმად (ერთვის დედანს).

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზ. გამსახურდია**.

თბილისი, 1991 წლის 25 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**361** ვ. მ. ალელიშვილის ქ. ახალქალაქის კრეფაქტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ვლადიმერ მარკოზის ძე **ალელიშვილი** ქ. ახალქალაქის კრეფაქტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზ. გამსახურდია**.

თბილისი, 1991 წლის 25 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

**362** 1990-1991 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ენერგოსისტემაში შემავალი კრიზისული მდგომარეობისა და წყალდიდობისას ჰიდროსადგურების სამუშაოდ მზადყოფნისა და 1991-1992 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმუ-



ლობის მუდმივი კომისიის დასკვნა 1990-1991 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ენერგეტიკული კრიზისის მიზეზებისა და 1991-1992 წლების შემოდგომა-ზამთარში მისი თავიდან აცილების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაუყოვნებლივ შექმნას მთავრობის კომისია მომავალი წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მზადების პროგრამის შესამუშავებლად და მისი განხორციელებისადმი მკაცრი კონტროლის დაწესებისათვის; დააჩქაროს ახლადშექმნილი ელექტროენერგეტიკის სამინისტროს მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბება, უზრუნველყოს მისი დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური, გამოცდილი კადრებით.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიამ პერიოდულად მოახსენოს პრეზიდიუმს მომავალი წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 28 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის კირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს  
კირველი სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

(10 მაისის სხდომა)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**363** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის **გ. მ. თაღაიას** სადემოკრატიო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად ვადამდე შეწყდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გივი მოსეს ძე თალაკვაძის უფლებამოსილება საქართველოს

რესპუბლიკის პრეზვიდენტის მინისტრის შიდადგეგმით მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პ. ასათიანი,

თბილისი, 1991 წლის 10 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა

**364** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 96 მარტვილის და № 97 მესტიის საარჩევნო ოლქებში გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად არჩევნების შესახებ

გაითვალისწინა რა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1991 წლის 1 მაისის დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 96 მარტვილის საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარდეს 1991 წლის 21 ივლისის ნაცვლად 1991 წლის 12 მაისისა.
2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 97 მესტიის საარჩევნო ოლქში 1991 წლის 12 მაისის დანიშნული არჩევნები გაუქმდეს და დაინიშნოს 1991 წლის 21 ივლისს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პ. ასათიანი,

თბილისი, 1991 წლის 10 მაისი.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**365** თბილისის რაიონების ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების პირველი სესიების მოწვევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ თბილისის რაიონების საკრებულოების წევრებმა მოაწყონ საკონსულტაციო შეხვედრები და შექმნან სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც დაევალებათ პირველ სესიებზე დასამტკიცებელ საკრებულოების რეგლამენტთა პროექტების შემუშავება.
2. დაევალოს თბილისის პრეფექტს ხელი შეუწყოს საკრებულოების წევრებს საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზაციასა და საკრებულოების რეგლამენტთა პროექტების შემუშავებაში.
3. თბილისის პრეფექტმა და ტერიტორიულმა საარჩევნო კომისიებმა უზრუნველყონ საკრებულოების პირველი სესიების მოწვევა 1991 წლის 1 ივნისიდან 10 ივნისამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პ. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**366** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის შემადგენლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პ. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურს

დადგენილება

**367** საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის შემადგენლობაში არჩეული იქნენ შემდეგი დეპუტატები:

საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურს ადგენს:

ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის შემადგენლობაში არჩეული იქნენ შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

ავთანდილ პროკოფის ძე იმნაძე

კომისიის წევრები:

იური გიორგის ძე ბურკაძე

ბიძინა ცოლერძის ძე გიორგობიანი

ვიქტორ პეტრეს ძე დომუხოვსკი

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ვარძელაშვილი

მაია პეტრეს ასული თომაძე

ამირან სერგოს ძე კალაძე

ზურაბ კონსტანტინეს ძე კანდელაკი

ვარლამ ვარლამის ძე კეშელავა

აკაკი ზურაბის ძე კობაძე

ავთანდილ ალექსანდრეს ძე კვეციანაძე

ალიკო შალვას ძე მელაძე

თედორე გიორგის ძე ნინიძე

ნოდარ გიორგის ძე ნონიაშვილი

ზურაბ ტიტეს ძე სანიკიძე

გერმანე გერმანეს ძე ფაცაცია

ზაურ დავითის ძე ქობალია

მზექალა აკაკის ასული შანიძე

ვალტერ გრიგოლის ძე შურლაია

ვანტანგ შალვას ძე ცაგარეიშვილი

ვანტანგ ამირანის ძე კითავა.

საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურს თავმჯდომარე ბ. ასათიანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

**368** საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 104-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს პირველი წაკითხვით საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პ. ასათიანი,

თბილისი, 1991 წლის 10 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

**369** „აშნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის განმარტების წესის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „აშნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება.

მე-5 მუხლის „ა“ პუნქტს დამატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„კანონის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად შრომა-გასწორების დაწესებულებებში სასჯელმოხდელად არ ჩაითვლებიან მსჯავრდებულები, რომელთაც ჩასამართლობა გაქარწყლებული ახ მოხსნილი აქვთ კანონით დადგენილი წესით“.

ამავე მუხლის „ვ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ვ“ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე სასჯელის მოუხდელი ნაწილი გაუნაზღვრებლად მსჯავრდებულებს, რომლებმაც აშნისტიის შეფარდების დროისათვის მოიხადეს სასჯელის ვადის სულ ცოტა ერთი მესამედი“.



2. დადგინდეს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების მე-5 პუნქტში აღნიშნულ პირთა მიმართ ამნისტიის შეფარდებისათვის მუშაობა უნდა დასრულდეს 1991 წლის 22 ივლისამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

**370** „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 21-ე მუხლის განმარტების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

განიმარტოს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 18 აპრილის კანონის 21-ე მუხლის მეორე ხაწილში მითითებული წარდგენის რიგი გულისხმობს პრეზიდენტობის კახდიდატად რეგისტრაციისათვის მოქალაქის წარდგენის რიგს და არა მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების უფლების მისაღებად მოქალაქის წარდგენის რიგს. ამდენად წარდგენის რიგითობა დადგენილი უნდა იქნეს საარჩევნო კომისიისათვის მხარდამჭერთა სივრცის წარდგენის რიგის მიხედვით, როგორც ეს ნათქვამია კანონის მე-18 მუხლის ბოლო ნაწილში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**371** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის თ. ა. ბეჟაშვილის სადამკუთვლელ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონის მეხუთე მუხლის შესაბამისად, დეპუტატისათვის შეუფერებელი საქციელისათვის, ვადამდე შეწყდეს უზენაესი საბჭოს წევრის თენგიზ ამირანის ძე ბეჟაშვილის სადამკუთვლელ უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**372** „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონის მეხუთე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„თუ უზენაესი საბჭოს წევრის მოქმედება შეუფერებელია დეპუტატისათვის, ასეთ შემთხვევაში დეპუტატის უფლებამოსილება შეწყვეტილად ჩაითვლება; თუკი უზენაესი საბჭოს შესაბამის დადგენილებას მხარს დაუჭერს დეპუტატმა საერთო რაოდენობის ორი მესამედი მაინც“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 10 მაისი.



(14 მაისის სხდომა)

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# 373 საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა წევრების გაწვევის წესის შესახებ

თ ა ვ ი I

## ძირითადი დებულებანი

**მუხლი 1.** საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში — ქალაქის (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა), ქალაქის რაიონის, დაბის, თემის და სოფლის საკრებულოებში არჩეული დეპუტატის უფლებრივი მიმართება შესაბამის საკრებულოებთან, საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებთან (პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, კავშირებთან, მოძრაობებთან, მათ პოლიტიკურ თუ საარჩევნო ბლოკებთან) და ამომრჩევლებთან დამყარებულია უფლებამოვალეობათა შექცევადობის პრინციპზე, ანუ ნებაყოფლობით გადაცემული უფლებამოსილების იმავე წესით ჩამორთმევის შესაძლებლობაზე.

**მუხლი 2.** საკრებულოში არჩეული დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილის ამომრჩეველთა ჯგუფს ან პარტიას (საარჩევნო ბლოკს).

საკრებულოდან დეპუტატის გაწვევის უფლება აქვთ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილის ამომრჩევლებს ამ კანონით დადგენილ წესით.

დეპუტატის საკრებულოდან გაწვევის შემთხვევაში შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილში ხელახალი არჩევნები ეწყობა კანონით დადგენილ წესით.

**მუხლი 3.** საკრებულოში არჩეული დეპუტატის გაწვევის შემდეგ საკრებულო დადგენილებით წყვეტს დეპუტატის უფლებამოსილებას, თუ დაადგენს, რომ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილში საკრებულოდან დეპუტატის გაწვევა მოხდა კანონის შესაბამისად.

**მუხლი 4.** შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილის ამომრჩევლები საკრებულოდან დეპუტატს გაწვევენ პირდაპირი, საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

**მუხლი 5.** საკრებულოდან დეპუტატის გაწვევისათვის კენჭისყრა ტარდება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე; ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს; საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქემა კენჭისყრაში მონაწილეობენ თანასწორი უფლებებით.

**მუხლი 6.** დეპუტატის გაწვევისათვის კენჭისყრა პირდაპირია; ამომრჩევლები უშუალოდ ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებიდან დეპუტატთა გაწვევას.

**მუხლი 7.** დეპუტატის გაწვევა ტარდება ფარული კენჭისყრით; კონტროლი ამომრჩეველთა ნების გამოვლენებისადმი დაუშვებელია.



**მუხლი 8.** საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი საკრებულოდან დეპუტატის გაწვევის მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

**მუხლი 9.** საკრებულოდან დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვთ შესაბამისი ოლქის ამომრჩეველთა ჯგუფს, შესაბამისი პარტიული წარმდგენ პირებს ან შესაბამისი პარტიის რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოს.

**მუხლი 10.** საკრებულოდან დეპუტატის გაწვევის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ამ ხარჯების სავარაუდო ოდენობას შესაბამისი ტერიტორიული (საქალაქო) საარჩევნო კომისიის წარდგინებით განმარტდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის. ხარჯების ფაქტობრივ ოდენობას ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

**მუხლი 11.** საჯაროობა გაწვევის მომზადებისა და ჩატარების დროს, აგრეთვე პასუხისმგებლობა გაწვევის შესახებ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლითა და მე-12 მუხლის პირველი ნაწილით.

**მუხლი 12.** საკრებულოდან გაწვეულ დეპუტატს ერთი ვადით ეკრძალება წარდგეხილ იქნეს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებში.

## თ ა ვ ი II

### გაწვევის ჩამტარებელი საარჩევნო კომისიები

**მუხლი 13.** საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებიდან დეპუტატთა გაწვევას ატარებენ:

- ა) საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- ბ) ტერიტორიული საარჩევნო კომისიები — რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) ტერიტორიული საარჩევნო კომისიები;
- გ) ადგილობრივი საარჩევნო კომისიები — ქალაქის (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა) საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების საქალაქო, ქალაქის რაიონების საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების ქალაქის რაიონულ, დაბების საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სადაბო, თემის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სა-

თემო, სოფლის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სასოფლო საარჩევნო კომისიები, რომლებსაც შეუძლიათ იმავდროულად შეასრულონ საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებიც, თუ ამას დაადგენს მათი ზემდგომი საარჩევნო კომისია;

დ) „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიები.

თ ბ ვ ი III

**საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებიდან დეპუტატთა გაწვევის საკითხის აღძვრა და გაწვევის დანიშვნა**

**მუხლი 14.** საკრებულოდან დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრისას შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილის ამომრჩეველთა სულ ცოტა 5-კაციანმა საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა ხელმოწერების შეგროვების უფლების მიღების თაობაზე.

განცხადებაში დეპუტატის გაწვევის მოტივის გარდა უნდა აღინიშნოს საინიციატივო ჯგუფის ყოველი წევრის სახელი, მამის სახელი, გვარი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები, თარიღი და იგი უნდა დამოწმდეს მათი ხელმოწერებით.

შესაბამისი პარტიული სიის წარმდგენმა პირებმა ან შესაბამისი პარტიის რესპუბლიკურმა ხელმძღვანელმა ორგანომ საკრებულოს დეპუტატის გაწვევის ჩატარების მოთხოვნით წერილობით უნდა მიმართონ შესაბამის საარჩევნო კომისიას.

**მუხლი 15.** შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო კომისიაში განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს 3 დღისა განცხადების რეგისტრაციის თაობაზე საინიციატივო ჯგუფს ეძლევა ცნობა და უფლება შეავსოს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილის ამომრჩეველთა ხელმოწერები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ყოველ ხელმოწერის შესავსოვებელ ფურცელს უნდა ეწეროს გასაწვევი დეპუტატის სახელი, გვარი, საკრებულოს დასახელება, საიდანაც გაწვეული უნდა იქნეს დეპუტატი, საინიციატივო ჯგუფის მიერ შედგენილი გაწვევის ჩატარების მოთხოვნის ტექსტი. ტექსტის მხარდამჭერი ამომრჩეველების ხელით დაწერილი ამომრჩეველთა სახელი, მამის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პასპორტის სერია და ნომერი, ხელმოწერის თარიღი და ხელმოწერა; ფურცლები დანომრილი უნდა იყოს; თითოეული ფურცელი უნდა დამოწმდეს საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრის ხელმოწერით.

ადგილობრივი საარჩევნო კომისია შესაბამისი საკრებულოს სამანდატო კომისიასა და დეპუტატს საინიციატივო ჯგუფისათვის ცნობის მიცემიდან ორი დღის ვალაში აცნობებს გაწვევის საკითხის აღძვრის შესახებ.

**მუხლი 16.** საინიციატივო ჯგუფმა ორი კვირის ვადაში უნდა მოაგროვოს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილის დეპუტატის გაწვევის მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები ამ ოლქის ნაწილის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის სულ ცოტა 10 პროცენტის ოდენობით.

**მუხლი 17.** ადგილობრივი საარჩევნო კომისია საკრებულოს წევრის ნდობით აღჭურვილ პირებთან ერთად ერთი კვირის ვადაში შერჩევით ამოწმებს დეპუტატის გაწვევის მხარდამჭერთა ხელმოწერების სისწორეს. იმ შემთხვევაში თუ მხარდამჭერთა საერთო რიცხვის 5 პროცენტზე მეტი ხელმოწერის სისწორე არ დადასტურდება (თითოეულ ასეთ შემთხვევაში დგება სათანადო აქტი), შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისია აუქმებს საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნას დეპუტატის გაწვევის ჩატარების შესახებ.

**მუხლი 18.** ადგილობრივი საარჩევნო კომისია გაწვევის მოთხოვნის შესახებ ხელმოწერების ან პარტიის (ბლოკის) განცხადების მიღებიდან არა უადრეს 5 და არა უგვიანეს 10 დღისა ნიშნავს საკრებულოს წევრის გაწვევის ჩატარების დღეს. გაწვევა უნდა ჩატარდეს საარჩევნო კომისიის მიერ გაწვევის დანიშნვიდან არა უადრეს ორი კვირისა და არა უგვიანეს ერთი თვისა. ცნობა გაწვევის ჩატარების დღის შესახებ ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში გაწვევის დანიშნვიდან სამი დღის ვადაში.

საარჩევნო ოლქის ნაწილში დეპუტატის გაწვევის ჩატარების უზრუნველყოფა ევალება შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო კომისიას.

## თ ა ვ ი V

### გაწვევის ბიულეტენი

**მუხლი 19.** გაწვევის ბიულეტენში ნათლად უნდა იყოს მოცემული კითხვა, რომელიც მხოლოდ დადებით ან უარყოფით პასუხს გულისხმობს („დიახ“ ან „არა“) და იგი შეთანხმებული უნდა იყოს გაწვევის საკითხის აღმძვრელ პირებთან.

კითხვის შემდეგ მოცემული უნდა იყოს საკრებულოს იმ დეპუტატის სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების წელი, პრიფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, პარტიულობა, რომლის გაწვევის საკითხი გამოტანილია კენჭისყრაზე; იმ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დასახელება, რომელმაც იგი წარადგინა დეპუტატობის კანდიდატად (თუ გასაწვევი დეპუტატი დეპუტატობის კანდიდატად ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადების საფუძველზეა წარდგენილი, უნდა დაიწეროს „დამოუკიდებელი“).

გაწვევის ბიულეტენის ქვედა მარცხენა და მარჯვენა კუთხეებში შესაბამისად უნდა ეწეროს სიტყვები: „დიახ“ და „არა“.

იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველი თანახმაა საკრებულოდან დეპუტატის გაწვევაზე, მან უნდა შემოხაზოს სიტყვა „დიახ“, როდესაც წინააღმდეგია გაწვევისა, უნდა შემოხაზოს სიტყვა „არა“.

გაწვევის ბიულეტენებს ბეჭდავენ შესაბამისი საარჩევნო კომისიები ქართულ ენასა და აფხაზურ ენაზე (აფხაზეთის ტერიტორიაზე), აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში საარჩევნო ოლქის ნაწილის მოსახლეობის რომელიმე ნაწილსათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

გაწვევის ბიულეტენები ზუსტ აღრიცხვას ექვემდებარება. ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ შესაბამისად მათთვის დაქვემდებარებული საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ბიულეტენების გადაცემას გაწვევამდე არა უგვიანეს 5 დღისა. საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილში ამომრჩეველთა რაოდენობაზე დაახლოებით 10 პროცენტით მეტი ბიულეტენი. ბიულეტენების მიღებას ხელმოწერით ადასტურებენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი.

თ ა ვ

**საკრებულოდან გასაწვევი დეპუტატის საქმიანობის გარანტიები.  
საინიციატივო ჯგუფის გარანტიები**

**მუხლი 20.** შესაბამისი საკრებულოს სამანდატო კომისიის მიერ საკრებულოდან დეპუტატის გაწვევისათვის კენჭისყრის შედეგების დამტკიცებამდე დეპუტატი სარგებლობს საკრებულოს წევრის უფლებამოსილებით.

დეპუტატისა და საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის გარანტიები განსაზღვრულია „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 44-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 46-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 50-ე და 51-ე მუხლებით.

თ ა ვ ი

**ხმის მიცემის წესი და გაწვევის შედეგების დადგენა**

**მუხლი 21.** ხმის მიცემის წესი და გაწვევის შედეგების დადგენა ხორციელდება ამ კანონის 23-ე მუხლით, „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 52-ე, 53-ე მუხლებით, 54-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4, მე-5 ნაწილებით, 55-ე მუხლის 1), 2), 3), 4), 6), 7), 8) პუნქტებით.

**მუხლი 22.** გაწვევის ბიულეტენი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ:

ა) იგი არ შეესაბამება დადგენილ ნიმუშს;

ბ) სიტყვებიდან „ღიახ“ და „არა“ არც ერთი არ არის შემოხაზული ან ორივეა შემოხაზული;

გ) შეუძლებელია იმის დადგენა, ამომრჩეველი შესაძლო პასუხებიდან რომელს ეთანხმება.

ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება.

ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭის-  
ყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია.

კომისია ახარისხებს და ცალკე ითვლის გაწვევის ბიულეტენში შეტანი-  
ლი გასაწვევი კანდიდატისათვის მიცემული ხმების (დადებითი ან უარყოფითი  
პასუხების) რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები ისევე უნდა ჩაიწყოს,  
როგორც „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგა-  
ნოების საკრებულოთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კა-  
ნონის 55-ე მუხლის მე-4 პუნქტშია მითითებული.

**მუხლი 23.** საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ამტკიცებს გაწვე-  
ვისათვის კენჭისყრის შედეგებს და ადგენს ოქმს სამ ცალად. ოქმის ყველა  
ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევ-  
რები. მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

ოქმში აღინიშნება: გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა, ამომრჩე-  
ველთა საერთო რიცხვი, გაწვევისათვის კენჭისყრაში მონაწილეთა რიცხვი, ხმის  
მიცემის მონაწილეთა რიცხვი, თითოეული შესაძლო გადაწყვეტილებისათვის  
მიცემული ხმებისა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა.

ოქმის პირველი ცალი და გამოუყენებელი ბიულეტენები გაწვევისათვის  
კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს მესამე დღისა ეგზავნება შესაბამის ტე-  
რიტორიულ ან ადგილობრივ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით.  
ოქმის მეორე ცალი ინახება საუბნო საარჩევნო კომისიაში, მესამე ცალი კი  
უნდა ჩაბარდეს გაწვევის კანდიდატის ხდობით აღჭურვილ პირს.

შესაბამისი ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისია შესაბა-  
მისად მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიისაგან მიღებული ოქმის  
საფუძველზე ადგენს: გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩე-  
ველთა საერთო რიცხვს, საარჩევნო ოლქის ნაწილში გაწვევისათვის კენჭისყრის  
მონაწილეთა რიცხვს, ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვს, თითოეული შესაძლო  
გადაწყვეტილებისათვის მიცემული ხმებისა და ბათილად ცნობილი ბიულეტენ-  
ების რაოდენობას.

დეპუტატი გაწვეულად ითვლება, თუ მის გაწვევას მხარს დაუჭერს ხმის  
მიცემის მონაწილეთა ნახევარზე მეტი და გაწვევა ჩატარებულად ჩაითვლება.

გაწვევა ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო საარ-  
ჩევნო ოლქის ნაწილის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტმა.

ტერიტორიულ ან ადგილობრივ საარჩევნო კომისიას შეუძლია გაწვევისა-  
თვის კენჭისყრა ბათილად ცნოს იმ საარჩევნო უბნებში, სადაც მოხდა ამ კა-  
ნონის უხეში დარღვევა. საჩივარი ასეთი დარღვევის შესახებ საუბნო ან ადგი-  
ლობრივ საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არა უგვიანეს გაწვევის  
მომდევნო დღისა.

იმ შემთხვევაში, თუ გაწვევა არ ჩაითვალა ჩატარებულად, ხელმოკრე კენჭისყრა არ ეწყობა. ასეთ შემთხვევაში გაწვევის კანდიდატს უნარჩუნდება საკრებულოს წევრის სტატუსი.

**მუხლი 24.** ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისია მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიისაგან მიღებული ოქმის საფუძველზე ამტკიცებს საარჩევნო ოლქის ნაწილში ჩატარებული გაწვევისათვის კენჭისყრის შედეგებს და ორი დღის ვადაში დადგენილი წესით აწვდის აუცილებელ ინფორმაციას შესაბამისი საკრებულოს სამანდატო კომისიასა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

კენჭისყრის შედეგების შეჯამებიდან ხუთი დღის ვადაში შესაბამისად ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისია ადგილობრივ პრესაში აქვეყნებს ცნობას გაწვევის შედეგების შესახებ.

**მუხლი 25.** თუ კენჭისყრა ბათილად არის ცნობილი საარჩევნო ოლქის ნაწილის ერთ ან რამდენიმე უბანში, ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა მხოლოდ ამ უბანში.

ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა გაწვევისათვის კენჭისყრიდან ერთი კვირის შემდეგ და მისი შედეგები განისაზღვრება გაწვევის პირველი ტურისათვის დადგენილი წესებით.

თ ა ვ ი VII

რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) საკრებულოდან დეპუტატების გაწვევის წესი

**მუხლი 26.** რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) საკრებულოს წევრების, გარდა ამ საკრებულოებში თანამდებობის მიხედვით შემავალი პირებისა, გაწვევის უფლება აქვთ რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე ქალაქის, ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) საკრებულოს წევრად მათ ამრჩევ საკრებულოებს.

რაიონის (რაიონული დაყოფის მქონე ქალაქის), ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) საკრებულოდან დეპუტატის გაწვევულად ჩაითვლება, თუ გაწვევას მხარს დაუჭერს შესაბამისი საკრებულოს წევრთა რიცხვის ნახევარზე მეტი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. ბაშსაძე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**374** „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა წევრების გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა წევრების გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ გამოქვეყნებისთანავე.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ 1979 წლის 15 ივნისის კანონი „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო, საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ასათიანი,

თბილისი, 1991 წლის 14 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**375** სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ

1. ძირითადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოებია სოფლის, დაბის, თემის, რესპუბლიკური (საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის, რაიონის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის საკრებულოები.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოები ხელმძღვანელობენ შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას, სახელმწიფო მშენებლობას, უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.



საკრებულოები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საჯაროობის, კანონიერებისა და სამართლიანობის, საერთო რესპუბლიკური და ადგილობრივი ინტერესების ურთიერთშეხამების, ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებებისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით.

ყოველი საკრებულოსა და მისი გამგეობის უფლებამოსილებას, საქმიანობის წესს, სტრუქტურასა და შტატებს განსაზღვრავს ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად შემუშავებული რეგლამენტი, რომელსაც მიიღებს საკრებულო და დაამტკიცებს შესაბამის პრეფექტი.

**მუხლი 2.** საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი საკრებულოების — სოფლის, დაბის, თემის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის, ქალაქის რაიონის, რესპუბლიკური (საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც არ აქვს რაიონული დაყოფა), საკუთრივ რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია. ადგილობრივ საკრებულოებში დეპუტატებს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.

ადგილობრივი საკრებულოების წევრებს — დეპუტატებს ირჩევს შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობა საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით, „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით.

რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) და რაიონის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნები არაპირდაპირია; საკრებულოებში დეპუტატებს ირჩევენ შესაბამის ტერიტორიებზე არსებული საკრებულოები თავიანთი შემადგენლობიდან.

**მუხლი 3.** საკრებულოები მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და თავიანთი რეგლამენტების საფუძველზე.

საკრებულოები კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ექვემდებარებიან სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომ ორგანოებს.

**მუხლი 4.** საკრებულოები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, მათ აქვთ თავიანთი გერბიანი ბეჭედი.

იმ შენობაზე, სადაც ტარდება საკრებულოს სესია, სესიის მთელ პერიოდში აღიმართება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა.

**მუხლი 5.** საკრებულოს ორგანოები და თანამდებობის პირებია:

- ა) საკრებულოს სესია;
- ბ) საკრებულოს მდივანი და მდივნის მოადგილე;
- გ) საკრებულოს კომისიები;
- დ) საკრებულოს გამგეობა (გამგეობის ნაცვლად საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება არჩეულ იქნეს ერთი თანამდებობის პირი — გამგებელი);



ე) საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე-  
ქალაქ თბილისისა და მისი რაიონების საკრებულოების სტატუსს განსა-  
ზღვრავს კანონი თბილისის მმართველობის შესახებ.

## II. საკრებულოს სესია

**მუხლი 6.** მხოლოდ და მხოლოდ საკრებულოს სესიაზე უნდა გადაწყდეს  
შემდეგი საკითხები:

- ა) საკრებულოს რეგლამენტის მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატე-  
ლების შეტანა;
- ბ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სოციალური და ეკონო-  
მიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- გ) ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება;
- დ) ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება;
- ე) დეპუტატების უფლებამოსილებათა ცნობა ან ვადამდე შეწყვეტა;
- ვ) საკრებულოს მდივნის, მდივნის მოადგილის, გამგეობის თავმჯდომარის  
(გამგებლის), თავმჯდომარის მოადგილის და წევრების არჩევა ან თანამდებო-  
ბიდან გათავისუფლება;
- ზ) დეპუტატების მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხების განხილ-  
ვა და მათზე პასუხის გაცემა;
- თ) გამგეობის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
- ი) სამანდატო, სარევიზიო და სხვა კომისიების შექმნა;
- კ) ბუნების დაცვის პროგრამების დამტკიცება;
- ლ) ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების, არასაბიუჯეტო სახს-  
რების, ბაჟების დაწესება, ადგილობრივი სესხების, აქციებისა და სხვა ფასიანი  
ქაღალდების შემოღება;
- მ) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა  
საკითხები.

**მუხლი 7.** ახლად არჩეული საკრებულოს პირველ სესიას იწვევს შესაბამი-  
სი ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისია არა უგვიანეს 10  
დღისა მას შემდეგ, რაც აირჩევა საკრებულოს წევრთა საერთო რიცხვის სულ  
ცოტა ორი მესამედი მაინც.

**მუხლი 8.** ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სესიის პირველი სხდო-  
მის დღის წესრიგში, როგორც წესი, უნდა შევიდეს შემდეგი საკითხები:

- ა) საკრებულოს სამანდატო კომისიის არჩევა;
- ბ) საკრებულოს სამანდატო კომისიის მოხსენების საფუძველზე დეპუტატ-  
თა უფლებამოსილების ცნობა;
- გ) საკრებულოს მდივნისა და მისი მოადგილის არჩევა;
- დ) სარევიზიო კომისიის არჩევა;
- ე) გამგეობის თავმჯდომარის არჩევა (ხოლო თუ გამგეობა არ აირჩევა, —  
გამგებლის არჩევა);

ვ) გამგეობის წევრთა არჩევა.

დებუტატებს შეუძლიათ დღის წესრიგში შეიტანონ სხვა საკითხებიც.

**მუხლი 9.** ახლად არჩეული საკრებულოს პირველ სხდომას საკრებულოს მდივნის არჩევამდე უძღვება და მის გადაწყვეტილებებს ხელს აწერს შესაბამისი ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, — ამ კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

**მუხლი 10.** საკრებულოს მორიგ და რიგგარეშე სესიებს იწვევს საკრებულოს მდივანი.

საკრებულოები ატარებენ წელიწადში სულ ცოტა ოთხ მორიგ სესიას.

**მუხლი 11.** საკრებულოს მდივანი ვალდებულია 7 დღის ვადაში მოიწვიოს საკრებულოს რიგგარეშე სესია, თუ ამას წერილობით მოითხოვს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის პრეფექტი ან ამომრჩეველთა 1% მაინც, ან საკრებულოს წევრთა ერთი მესამედი.

საკრებულოს მდივანს საკრებულოს რიგგარეშე სესია შეუძლია მოიწვიოს საკუთარი ინიციატივითაც.

**მუხლი 12.** საკრებულოს სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადება ევალება საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარეს (გამგებელს) ან საკრებულოს მდივანს. მათ შეუძლიათ ცალკეული საკითხების მომზადება დაავალონ საკრებულოს დებუტატებს ან გამგეობის წევრებს.

**მუხლი 13.** საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების დროსა და ადგილს, აგრეთვე დღის წესრიგში შესატან სავარაუდო საკითხებს ადგენს საკრებულოს მდივანი და ამის შესახებ აუწყებს მოსახლეობას და დებუტატებს სხდომამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

**მუხლი 14.** საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საკრებულოს წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ორი მესამედი.

საპროცედურო საკითხებზე (კენჭისყრის წესის, სხდომის მიმდინარეობის და სხვა) გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე დებუტატთა ნახევარზე მეტი.

საკრებულოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დებუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი.

გადაწყვეტილება, რომლითაც მიიღება ან იცვლება საკრებულოს რეგლამენტი, მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა დებუტატთა საერთო რიცხვის არანაკლებ ორმა მესამედმა.

**მუხლი 15.** საკრებულოს სხდომებს, როგორც წესი, უძღვება საკრებულოს მდივანი, რომელსაც შესაბამისი საკრებულოს წევრთაგან ირჩევენ ფარული კენჭისყრით საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

საკრებულოს მდივანი იწვევს საკრებულოს სესიებს და უძღვება მის სხდომებს, კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიების საქმიანობას, ხელს აწერს საკრებულოს მიერ მიღებულ აქტებს.

**მუხლი 16.** საკრებულოს მდივნის წარდგინებით საკრებულო ირჩევს საკრებულოს მდივნის მოადგილეს საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.



მდივნის უშუალო დავალებით ან იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს მდივანს დროებით არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობები, მდივნის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე, საკრებულოს მდივნის მიერ უფლებამოსილების მოხსნისას ან მის მიერ მდივნის ფუნქციების შესრულებისათვის დაუძლეველი დაბრკოლებების არსებობის შემთხვევაში საკრებულოს მდივნის მოადგილე ხდება საკრებულოს მდივანი.

საკრებულოს მდივნის მოადგილეს ევალება სხდომის ოქმისა და საქმისწარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოწესრიგება.

**მუხლი 17.** საკრებულოში თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას საკრებულოს მდივანი, როგორც წესი, წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, ხოლო საკრებულოს მდივნის მოადგილე — არ წყვეტს. ამ საკითხს წყვეტს საკრებულო და ასახავს საკრებულოს რეგლამენტში.

**მუხლი 18.** საკრებულოს სხდომა ღიაა.

საკრებულოს მდივანს ან გამგეობის თავმჯდომარეს (გამგებელს) შეუძლია სხდომაზე მოიწვიოს მოქალაქენი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების წარმომადგენლები.

საკრებულოს მდივანს ან დეპუტატთა ერთ მეოთხედს შეუძლია დააყენოს საკითხი დახურული სხდომის ჩატარების შესახებ. თუ კენჭისყრის დროს ამ წინადადებას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე დეპუტატთა ნახევარზე მეტი, დახურული სხდომა ჩატარდება.

სათათბირო ხმის უფლებით საკრებულოს როგორც ღია, ასევე დახურულ სხდომებზე დასწრების უფლება აქვთ გამგეობის ყველა წევრს, შესაბამისი ტერიტორიის პრეფექტსა და პრეფექტის მოადგილეს (მოადგილეებს), აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებს.

**მუხლი 19.** საკრებულოს გადაწყვეტილებები მიიღება ღია, ფარული ან სახელობითი კენჭისყრით.

**III. საკრებულოს კომისიები**

**მუხლი 20.** საკრებულო ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დეპუტატთა შემადგენლობიდან თავისი უფლებამოსილების ვადით ირჩევს სამანდატო, სარევიზიო და სხვა კომისიებს. საკრებულოს შეუძლია შექმნას დროებითი კომისიებიც. მათ შემადგენლობაში დასამუშავია იმ პირთა შეყვანა, რომლებიც საკრებულოს წევრები არ არიან.

**მუხლი 21.** სამანდატო კომისია:

ა) ამოწმებს ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებას და საკრებულოს სხდომას წარუდგენს დასკვნას არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების ცნობის ან არცნობის შესახებ;

ბ) განიხილავს დეპუტატთა წერილობით განცხადებას უფლებამოსილებათა მოხსნის შესახებ და ამის თაობაზე საკრებულოს სხდომას წარუდგენს სათანადო დასკვნას.



გ) განიხილავს და საკრებულოს სხდომას წარუდგენს დასკვნას ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

**მუხლი 22.** სარევიზიო კომისია:

ა) აკონტროლებს საკრებულოს მიერ საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, რისთვისაც შეუძლია ანგარიში მოსთხოვოს საკრებულოს დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ხელმძღვანელებს;

ბ) ამოწმებს გამგეობისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა საფინანსო საქმიანობას;

გ) ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს საკრებულოს ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო საკითხების შესახებ;

დ) „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტებში განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სარევიზიო კომისია იღებს დასკვნას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს სხდომას.

**მუხლი 23.** საკრებულოს კომისიების ორგანიზაციის, საქმიანობის წესსა და კომპეტენციას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა და შესაბამისი საკრებულოს რეგლამენტი.

#### IV. საკრებულოს გამგეობა

**მუხლი 24.** ადგილობრივი საკრებულოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა შესაბამისი გამგეობა (გამგებელი), რომელიც უზრუნველყოფს მათი მუშაობის ორგანიზაციას.

რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების რაიონისა და ქალაქის (რომელსაც არ აქვს რაიონული დაყოფა, ანდა რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი), გამგეობა (გამგებელი) არ აირჩევა.

სოფლის, დაბის, თემის საკრებულოს შეუძლია გამგეობის ნაცვლად აირჩიოს საკრებულოს გამგებელი.

საკრებულოს გამგეობას (გამგებელს) ირჩევს საკრებულო თავისი უფლებამოსილების ვადით. გამგეობა შედგება: თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და როგორც წესი 3-5 წევრისაგან.

**მუხლი 25.** საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარეს (გამგებელს) თავისი უფლებამოსილების ვადით პრეფექტის წარდგინებით ირჩევს შესაბამისი საკრებულო საკრებულოს წევრთა შემადგენლობიდან.

კანდიდატი არჩეულად ითვლება თუ კენჭისყრის დროს მას მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტმა.

თუ საკრებულომ არ აირჩია პრეფექტის მიერ წარდგენილი კანდიდატი, ახალ კანდიდატურას კვლავ პრეფექტი ასახელებს.

**მუხლი 26.** გამგეობის თავმჯდომარე (გამგებელი) თავის უფლებამოსილება განხორციელებისას, როგორც წესი, წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას. ამ საკითხს გადაწყვეტს საკრებულო და ასახავს რეგლამენტში.

**მუხლი 27.** გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს გამგეობის თავმჯდომარეს (გამგებელს).

დასახელებული კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილე დეპუტატთა ნახევარზე მეტმა.

თუ თავმჯდომარის წარდგენილი კანდიდატი ვერ იქნა არჩეული, ახალ კანდიდატურას კვლავ გამგეობის თავმჯდომარე (გამგებელი) ასახელებს.

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე იმავდროულად არ შეიძლება იყოს დეპუტატი.

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, როგორც წესი, არ წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას. ამ საკითხს გადაწყვეტს საკრებულო და ასახავს რეგლამენტში. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე არ გათავისუფლდა საწარმოო თუ სამსახურებრივი საქმიანობისაგან, მაშინ თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ვადით მას ეძლევა საშუალო ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე და შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან უნაზღაურდება ამ ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

**მუხლი 28.** გამგეობის წევრთა კანდიდატურების დასახელების უფლება აქვთ საკრებულოს წევრებსა და პრეფექტს.

კანდიდატი გამგეობის წევრად არჩეულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილე დეპუტატთა ნახევარზე მეტმა.

გამგეობის წევრი, ვარდა გამგეობის თავმჯდომარისა (გამგებლისა), იმავდროულად არ შეიძლება იყოს დეპუტატი. დეპუტატის გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში იგი იხსნის დეპუტატის უფლებამოსილებას ან მის სადეპუტატო უფლებამოსილებას შეწყვეტს საკრებულო.

**მუხლი 29.** საკრებულოს არჩეულ წევრთა საერთო რაოდენობის ერთ მეტოქედს ან პრეფექტს შეუძლია მოითხოვოს გამგეობის თავმჯდომარის (გამგებლის) ან გამგეობის წევრთა თანამდებობიდან გათავისუფლება.

გამგეობის თავმჯდომარე (გამგებელი), მისი მოადგილე ან გამგეობის წევრი გათავისუფლებულად ითვლება, თუ საკრებულოს სხდომაზე ამ წინადადებას მხარი დაუჭირა დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტმა.

**მუხლი 30.** გამგეობის წევრი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, როგორც წესი, არ წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას. ამ საკითხს გადაწყვეტს საკრებულო და ასახავს რეგლამენტში. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის წევრი არ გათავისუფლდა საწარმოო თუ სამსახურებრივი საქმიანობისაგან, მაშინ თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ვადით მას გამგეობის სხდომის დროს და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში ეძლევა საშუალო ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე და



შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან უნაზღაურდება ამ ბის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

**მუხლი 31.** საკრებულოს გამგეობის სხდომებს საჭიროებისამებრ, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც, იწვევს გამგეობის თავმჯდომარე.

საკრებულოს გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა საერთო რიცხვის ორი მესამედი მაინც.

**მუხლი 32.** გამგეობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს, ხოლო გამგეობის თავმჯდომარე (გამგებელი) გამოსცემს განკარგულებებს.

გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს მის წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი ხმით, თუ სხვა წესი არ არის დადგენილი ამ კანონით ან საკრებულოს რეგლამენტით.

საკრებულოს გამგეობის გადაწყვეტილებებს ხელს აწერენ გამგეობის თავმჯდომარე და გამგეობის სხდომის მდივანი, ხოლო განკარგულებებს — მხოლოდ თავმჯდომარე (გამგებელი).

**მუხლი 33.** საკრებულოს გამგეობა:

ა) სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციის სფეროში:

— უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას, აუწყებს მოსახლეობას ამ მუშაობის შესახებ;

— წყვეტს კანონით გათვალისწინებული არჩევნების, საერთო-სახალხო განხილვისა და კენჭისყრის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— განიხილავს დებუტატთა უფლებამოსილებების შეწყვეტასთან და ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— კანონმდებლობის საფუძველზე და ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში განსაზღვრავს გამგეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობებს;

ბ) დაფინანსების, ბიუჯეტისა და ქონების განკარგვის სფეროში:

— შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს პერსპექტიულ გეგმებსა და ბიუჯეტს, უზრუნველყოფს შესრულებას, ამზადებს ანგარიშს მათი შესრულების შესახებ;

— კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდას და არასაბიუჯეტო სახსრების მოზიდვას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს მიწასთან დაკავშირებულ დავას;

— კანონის შესაბამისად ანაწილებს და ჩამოართმევს მიწის ნაკვეთებს.

გ) მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფის სფეროში:

— შეიმუშავებს შესაბამის ტერიტორიაზე საბინაო მშენებლობის პროგრამას, ხელმძღვანელობს საბინაო მეურნეობას;

— აღრიცხავს აჭყავს მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ საბინაო პირობების გაუმჯობესება;

— კანონიერებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით ანაწილებს სახელმწიფო საბინაო ფონდს;

— ხელს უწყობს ყველა სახის სახელმწიფო ბინათმშენებლობის განვითარებას;

— ზრუნავს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე;

— ხელს უწყობს კულტურის, განათლების დაწესებულებათა მუშაობას, ზრუნავს მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის;

— ხელს უწყობს შესაბამის ტერიტორიაზე დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას;

— წარმართავს შესაბამის ტერიტორიაზე ჯანდაცვის დაწესებულებათა მუშაობას, ზრუნავს მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის;

— ზრუნავს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისათვის, კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს მეურვეობასა და მზრუნველობის ობიექტების ფუნქციებს;

— საკრებულოს მიერ დადგენილ ფარგლებში განაგებს სოფლის, დაბის, თემის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის ქონებასა და ფინანსებს.

— კანონით დადგენილი წესით ამტკიცებს მშენებარე, შესაკეთებელი და ვასაფართოებელი ობიექტების სატიტულო სიებს.

დ) ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში:

— შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს ბუნების დაცვის პროგრამას;

— წარმართავს ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციას, ქმნის ბუნების დაცვის არასაბიუჯეტო ფონდებს;

— ბუნების დაცვის სფეროში უხეში დარღვევის შემთხვევაში დროებით აჩერებს საწარმოების საქმიანობას, ობიექტების მშენებლობას და დაუყოვნებლივ აუწყებს ამის შესახებ პროკურატურის შესაბამის ორგანოებსა და პრეფექტს;

— აკონტროლებს ბუნებრივი რესურსების მოქმედი კანონმდებლობის შერსაბამისად გამოყენებას;

— ზრუნავს ხალხური შემოქმედების, მხატვრული თვითმოქმედებისა და ხალხური რეწვის განვითარებაზე;

— ზრუნავს ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შენარჩუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისათვის;

— წარმართავს ფიზკულტურულ-სპორტული ბაზებისა და დასვენების ზონების შექმნის საქმეს, ზრუნავს მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

ე) კომუნალური მეურნეობის, მომსახურებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის დარგში:

— ხელმძღვანელობს შესაბამისი კომუნალური მეურნეობის და მომსახურების ობიექტების ექსპლუატაციას;

— უზრუნველყოფს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

— აკონტროლებს კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობას;

— აკონტროლებს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა მუშაობას, ხელს უწყობს ინდივიდუალურ ვაჭრობას, ხსნის ბაზრებს, აწყობს ბაზრობებს;

— უზრუნველყოფს სასაფლაოთა მოვლა-პატრონობას.

ვ) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში:

— უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით მოქალაქეთათვის დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;

— განიხილავს მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს;

— უზრუნველყოფს სანოტარო მოქმედებების შესრულებას და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას კანონით დადგენილი წესით;

— საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების გამოყენებას;

— უზრუნველყოფს საპასპორტო რეჟიმის დაცვას;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას;

— აჩერებს შესაბამის ტერიტორიაზე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, კოოპერატივების კანონსაწინააღმდეგო აქტების მოქმედებას და გასაუქმებლად წარუდგენს მათ საკრებულოს უახლოეს სხდომას;

— სტიქიური უბედურობების, კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოტიების, ხანძრების და სხვა უბედურებების შემთხვევებში ახორციელებს განსაკუთრებულ ღონისძიებებს ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის, მატერიალურ ფასეულობათა შენარჩუნების, კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ნ. ბამბახშვილი**.

თბილისი, 1991 წლის 14 მაისი.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა

**376** „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების, სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ასათიანი,

თბილისი, 1991 წლის 14 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა

**377** „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის კრთაქტის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ“ კანონის პროექტი მიღებულ იქნეს პირველი წაკითხვით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ასათიანი,

თბილისი, 1991 წლის 14 მაისი.



**378** საქართველოს რესპუბლიკის ზოგირით სპანონმდებლო აპზო ცვლილებათა და დამატებათა შეთანის თაობაზე

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს რესპუბლიკის შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

I. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები 1961 წ., № 1, მუხ. 10):

1. დამატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 192<sup>1</sup>, 192<sup>2</sup>, 193<sup>3</sup> მუხლები:

„**მუხლი 192<sup>1</sup>.** სასამართლო საქმეების გარჩევაში ჩარევა

ზემოქმედება მოსამართლეებსა ან მსაჯულებზე, რა ფორმითაც უნდა იყოს, კონკრეტული საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვისათვის ხელის შეშლის ან სასამართლო გადაწყვეტილების უკანონო გამოტანის მიღწევის მიზნით —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით სამასიდან ათას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე.

**მუხლი 192<sup>2</sup>.** შექარა მოსამართლის ან მსაჯულის მიმართ

შველულობის, ძალადობის ან ქონების მოსპობის შექარა მოსამართლის ან მსაჯულის, აგრეთვე მათი ახლო ნათესაების მიმართ, მოსამართლის ან მსაჯულის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

**მუხლი 192<sup>3</sup>.** მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფა

მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფა მართლმსაჯულების განხორციელებისას მათ საქმიანობასთან დაკავშირებით. —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე“.

2. მუხლი 203<sup>3</sup>. ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 203<sup>3</sup>.** სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა

თანამდებობის პირის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების ან დადგენილების განზრახ შეუსრულებლობა ან მათი შესრულებისათვის ხელის შეშლა —

ისჯება ჯარიმით ხუთასიდან ათას მანეთამდე“.

II. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 421):

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 173<sup>1</sup> და 173<sup>2</sup> მუხლები:

„**მუხლი 173<sup>1</sup>**. სასამართლოში მსაჯულის გამოცხადებისათვის ხელის შეშლა თანამდებობის პირის მიერ, რა საბაბითაც უნდა იყოს, სასამართლოში მსაჯულის გამოცხადებისათვის ხელის შეშლა, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ას მანეთამდე.

**მუხლი 173<sup>2</sup>**. სასამართლოს კერძო განჩინების (დადგენილების) ან მოსამართლის წარდგინების გამო ზომების მიუღებლობა

თანამდებობის პირის მიერ სასამართლოს კერძო განჩინების (დადგენილების) ან მოსამართლის წარდგინების განუხილველად დატოვება, ან მათში აღნიშნული კანონების დარღვევების თავიდან აცილებისათვის ღონისძიებათა მიუღებლობა, აგრეთვე კერძო განჩინებაზე (დადგენილებაზე) ან წარდგინებაზე დაგვიანებული პასუხის გაცემა —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორას მანეთამდე“;

2. 208-ე მუხლში ციფრები: „173“ შეიცვალოს ციფრებით: „173-173<sup>2</sup>“

3. 252-ე მუხლის მეორე ნაწილში ციფრი: „173“ შეიცვალოს ციფრებით: „173-173<sup>4</sup>“.

4. 262-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვების „122-ე მუხლის მეორე ნაწილში“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „173<sup>1</sup>, 173<sup>2</sup> მუხლებით“.

5. 279-ე მუხლის პირველ ნაწილში ციფრი „173“ შეიცვალოს ციფრებით „173-173<sup>4</sup>“.

III. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11):

1. 64-ე მუხლის მესამე ნაწილში, 134<sup>1</sup> მუხლის მეხუთე ნაწილში, 262-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „30 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „100 მანეთამდე“.

2. 231-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეათე პუნქტი:

„10 ) მსაჯულთა რაოდენობის დადგენას იმ დანაშაულთა საქმეების განხილვისას, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე ზევით“.

IV. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1964 წლის 26 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662):

1. 69-ე მუხლის მეორე ნაწილში, 75-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „10 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „50 მანეთამდე“.

2. 119-ე მუხლის მეორე ნაწილში, 156-ე მუხლის მეორე ნაწილში, 167-ე მუხლის პირველ ნაწილში, 358-ე მუხლში, 409-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „30 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „50 მანეთამდე“.

3. 159-ე მუხლის მეორე ნაწილში, 164-ე მუხლის მესამე და მეშვიდე ნაწილებში, 166-ე მუხლში, 168-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „30 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „100 მანეთამდე“.

4. 396<sup>1</sup> მუხლის მესამე ნაწილში და 396<sup>2</sup> მუხლში სიტყვები „10 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „100 მანეთამდე“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. ბაქსაძე

თბილისი, 1991 წლის 14 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**379** ქ. თბილისის ლენინის რაიონისათვის სახელის გადაქმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

გადაერქვას სახელი ქ. თბილისის ლენინის რაიონს და ეწოდოს ღრმალეთის რაიონი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ბატონიანი,

თბილისი, 1991 წლის 14 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**380** ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

გამოცხადდეს საგანგებო წესები ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე 1991 წლის 14 მაისის 22.00 საათიდან ერთი თვის ვადით.

კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22.00 საათიდან 7.00 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 14 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**381** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრების დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის ხორმალური სამუშაო პირობების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს და რეგისტრაციისათვის შესაბამის ორგანოებს გადასცემს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ და 1991 წლის 14 მაისამდე გაწეულ ნუბილველ განცხადებებს. ეს ორგანოები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ განიხილონ დროებითი კომისიის მიერ გაგზავნილი განცხადებები და პასუხი წერილობით აცნობონ ავტორსა და კომისიას.

2. 1991 წლის 24 მაისის 12.00 საათიდან 1991 წლის 27 მაისის 12.00 საათამდე დროებითი კომისია მხოლოდ რეგისტრაციაში ატარებს შემოსულ განცხადებებს და გადასცემს მათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რითაც დროებითი კომისია წყვეტს თავის

საქმიანობას. არჩევნების ჩატარების დღიდან პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა სადავო საკითხს განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და რეაგირებისათვის გადასცემს შესაბამის ორგანოებს.

3. ეს დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პ. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 14 მაისი.

### საპარტვილო რესპუბლიკის კანონი

## 382 „საპარტვილო რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საპარტვილო რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის მე-10 და მე-11 ნაწილები:

„თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგების დადგენისას უხეშად დაარღვევს საარჩევნო კანონს და გამოიჩინოს ტენდენციურობას, უზენაესი საბჭო აუქმებს არჩევნების შედეგებს და გამოყოფს კომისიას, რომელიც აჯამებს არჩევნების შედეგებს.

თუ პრეზიდენტობის კანდიდატს დაუმტკიცდება საარჩევნო კანონის უხეშად დარღვევა ან კანონით დაუშვებელი ზემოქმედება ამომრჩეველთა ნებაზე, გაუქმდება მისთვის მიცემული ხმების მთელი რაოდენობა“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. ვანსანაშვილი.

თბილისი, 1991 წლის 14 მაისი.

(23 მაისის სხდომა)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ი ნ ი ლ ე ბ ა

**383** 1991 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ

გაითვალისწინა რა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადებები 1991 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ქ. სოხუმისა და ქ. ოჩამჩირის საოლქო საარჩევნო კომისიებს, გორის, ონისა და ქარელის ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებს უზრუნველყონ ხმის მიცემის ჩატარება 1991 წლის 24, 25 და 26 მაისს გუდაუთის რაიონის, ქ. ტყვარჩელის, ქ. ცხინვალის, ჭავისა და ყოფილი ყორხისის რაიონების ამომრჩევლებისათვის.

2. დაევალოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეიმუშაოს წინასწარ ხმის მიცემის წესი ზემოთ აღნიშნული ამომრჩევლებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პ. ანბთიანი.

თბილისი, 1991 წლის 23 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**384** „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 22 მაისის ბრძანებულების გათვალისწინებით და „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს

რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს 1991 წლის 14 მაისის კანონის შესაცვლელად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 18 აპრილის კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

1. 24-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს სიტყვები:

„... რომლის შესახებაც იგი გადაწყვეტილებას იღებს არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს ორი დღისა“.

2. 25-ე მუხლში:

ა) მე-3 ნაწილს დაემატოს შემდეგი ტექსტი:

„იმ უბნებში, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი თუ ამომრჩეველთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ არჩევნებში მათ მონაწილეობას შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა არჩევნების ჩატარებულად ჩათვლაზე, არჩევნებში გამარჯვებულის გამოვლენაზე ან არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატების გამოვლენაზე, ამ უბნებში ტარდება ხელახალი ხმის მიცემა არჩევნების დღიდან ორი კვირის ვადაში“.

ბ) მე-4 ნაწილში სიტყვები „ორი კვირის“ შეიცვალოს სიტყვებით „სამი კვირის“;

გ) მე-5 ნაწილს დაემატოს შემდეგი ტექსტი:

„საჩივრები არჩევნების ჩატარებისა და მისი შედეგების დადგენის კანონიერების თაობაზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს სამი დღისა. მათ შესახებ კომისია გადაწყვეტილებას იღებს არჩევნებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა.“

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და კომისიის მიერ საარჩევნო კანონის დარღვევის გამო საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება აქვთ პრეზიდენტობის კანდიდატს და მისი წარმდგენი პარტიის, საარჩევნო ბლოკის ან ამომრჩეველთა ჯგუფის პასუხისმგებელ წარმომადგენელს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს ექვსი დღისა.

სასამართლოს, რომელიც საქმეს განიხილავს, გადაწყვეტილება გამოაქვს არჩევნების დღიდან არა უგვიანეს ცხრა დღისა, აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ცენტრალური საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე აჩერებს არჩევნების შედეგების დადგენას.

თუ პრეზიდენტობის კანდიდატს, მისი წარმდგენი პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა ჯგუფის პასუხისმგებელ წარმომადგენელს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, პრეზიდენტობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ რომელიმე პირს ან მისი წარმდგენი პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა ჯგუფის ან მისი რომელიმე წარმომადგენელს საარჩევნო უბანში დაუმტკიცდება არჩევნების დღეს ამომრჩეველთა ნებაზე, კანონით დაუშვებელი ზემოქმედება, მაშინ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით საარჩევნო



კომისია გააუქმებს პრეზიდენტობის ამ კანდიდატისათვის მიცემული ხმების  
სულ რაოდენობას ამ უბანში. იმ შემთხვევაში, როდესაც გაუქმებულ ხმათა  
რაოდენობას შეიძლება გავლენა მოეხდინა არჩევნების ჩატარებულად ჩათ  
ვლაზე, არჩევნებში სხვა გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენაზე ან არჩევ  
ნების მეორე ტურში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატების გამოვლენაზე,  
ქვეყნის უბნებში დარჩენილი კანდიდატების მონაწილეობით ტარდება ხე  
ლახალი ხმის მოცემა არჩევნების დღიდან ორი კვირის ვადაში.

დ) მე-6 ნაწილში რიცხვი „5“ შეიცვალოს რიცხვით „10“;

ე) მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„ოქმის პირველი ცალი ინახება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მე-  
ორე ცალი გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, თითო  
ცალი კი უნდა ჩაბარდეს პრეზიდენტობის კანდიდატების წარმომადგენლებს“.

ვ) 26 ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები: „ორი კვირის“ შეიცვალოს  
სიტყვებით „სამი კვირის“.

II. კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზ. ბაშხაშვილი**.

თბილისი, 1991 წლის 23 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ი ნ ი ლ ი ბ ა

**385** თ. გველესიანის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის  
ტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს თანამდებო  
ბიდან გაათავისუფლოს საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრ  
თამაზ გველესიანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ასათიანი**.

თბილისი, 1991 წლის 23 მაისი.

საპარტოვლოს რესპუბლიკის კანონი

**386** საპარტოვლოს რესპუბლიკის შრომის კანონთა და საკორფინო  
და საოჯახო კანონთა კოდექსეზი ცვლილებათა შეტანის  
თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118) შემდეგი ცვლილებები:

1. 159-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 159.** შვებულებები ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო

ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება მშობიარობამდე სამოცდაათი კალენდარული დღის ხანგრძლივობით და მშობიარობის შემდეგ ორმოცდათექვსმეტი (გართულებული მშობიარობის ან ორი და მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში — სამოცდაათი) კალენდარული დღის ხანგრძლივობით. ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება გამოიანგარიშება შეჯამებულად და ქალს მიეცემა მთლიანად, მშობიარობამდე ფაქტიურად გამოყენებული დღეების რაოდენობის მიუხედავად. ქალს, სურვილისამებრ, თუ მას აქვს არანაკლებ ერთი წლის მუშაობის საერთო სტაჟი (თვრამეტ წლამდე ასაკის ქალებს, მუშაობის სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად), მიეცემა ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოვლის გამო, სანამ ბავშვი წლინახევრისა გახდება. ამ ხნის განმავლობაში ქალს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით ეძლევა დახმარება. მომუშავე ქალებს, რომელთაც არა აქვთ ერთი წლის მუშაობის სტაჟი, დახმარება ბავშვის მოვლის გამო მიეცემათ ნახევარი ოდენობით.

ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოვლის გამო შეიძლება გამოყენებული იქნეს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ ნებისმიერ დროს, ვიდრე ბავშვი წლინახევრისა გახდება. ეს შვებულება ჩაითვლება მუშაობის საერთო და უწყვეტ სტაჟში, აგრეთვე სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟში, მაგრამ არ ჩაითვლება მუშაობის იმ სტაჟში, რომელიც იძლევა მომდევნო ყოველწლიური შვებულების უფლებას.

ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება და დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოვლის გამო (მუხლი 161-ე) შეიძლება მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ გამოიყენოს აგრეთვე ბავშვის შამამ, ბეზამ, პაპამ ან სხვა ნათესავმა, რომლებიც ფაქტიურად უვლიან ბავშვს.

ქალის ან ამ მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლილ პირთა სურვილით ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში ყოფნის პერიოდში მათ შეუძლიათ იმუშაონ არასრული სამუშაო დროის პირობებში ან სახლში, ამასთან მათ შეუ-

რჩუნდებათ დახმარების მიღების უფლება ბავშვის მოვლისათვის ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულების პერიოდში“.

2. 161-ე მუხლში:

სათაურში სიტყვები „წლინახევრამდე ასაკის“ შეიცვალოს სიტყვებით „ამ წლამდე ასაკის“;

პირველ ნაწილში სიტყვები „ქალს, მისი განცხადების თანახმად“ შეიცვალოს სიტყვებით „ქალს და 159-ე მუხლის მესამე ნაწილში აღნიშნულ პირებს, თი განცხადების თანახმად“;

პირველ და მეორე ნაწილებში სიტყვა „წლინახევრის“ შეიცვალოს სიტყვებით „სამი წლის“.

3. 162-ე მუხლში: პირველ ნაწილში სიტყვები „ერთი წლისა“ შეიცვალოს სიტყვით „წლინახევრისა“; მეორე ნაწილში სიტყვა „წლინახევრის“ შეიცვალოს სიტყვებით „სამი წლის“.

4. 231-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები „ერთი წლისა“ შეიცვალოს სიტყვით „წლინახევრისა“.

11. საქართველოს სსრ 1970 წლის 18 ივნისის კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 6, მუხ. 96) 72-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლოს უფლება აქვს შეამციროს აღიმენტის ოდენობა ან აღიმენტის გადახდისაგან გაათავისუფლოს მშობელი, თუ შეილება სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრულ კმაყოფაზე არიან. სახსრები, რომელთა გადახდა ეკისრებათ მშობლებს სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში მყოფი შეილების შესანახად ჩაირიცხება აღსაზრდელის პირად ანგარიშზე შემნახველ ბავშვში, ამ მუხლის პირველ ნაწილში დადგენილი ოდენობით“.

III. ეს კანონი საშოქმედოდ იქნეს შემოღებული გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.**

ბილისი, 1991 წლის 23 მაისი.



საპარტვილო რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**387** საპარტვილო რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 17 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პ. ასათიანი,

თბილისი, 1991 წლის 23 მაისი.

დამტკიცებულია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 23 მაისის დადგენილებით

**388** საპარტვილო რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის

წ ე ს ი

1. საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია: რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების რაიონი და ქალაქი; რაიონული დაქვემდებარების ქალაქი, დაბო, თემი, სოფელი. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული — თემი აერთიანებს რამდენიმე დასახლებულ პუნქტს — სოფელს ან სოფელთა ჯგუფს.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული ერთეულია რაიონი, ქალაქის რაიონი და თემი, ხოლო დასახლებული პუნქტებია: საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქი, ქალაქის ტიპის დაბა, სოფელი.

3. რიგ შემთხვევებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა და ტერიტორიული ერთეულის (დასახლებული პუნქტის) საზღვრები ერთმანეთს ემთხვევა.

4. საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებია:



ა) რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) რაიონსა და ქალაქში — რაიონის (ქალაქის) საკრებულო და რაიონის (ქალაქის) პრეფექტურა;

ბ) რაიონული დაქვემდებარების ქალაქში (ქალაქის რაიონში, დაბაში თემში, სოფელში) — ქალაქის (ქალაქის რაიონის, თემის, დაბის, სოფლის საკრებულო და ქალაქის (ქალაქის რაიონის, თემის, დაბის, სოფლის) გამგეობა ან გამგებელი. /

1. ქალაქების, რაიონების, ქალაქის რაიონების, ქალაქის ტიპის დაბების, თემების, სოფლების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა

1. საქართველოს რესპუბლიკის დაქვემდებარების რაიონებსა და ქალაქებს ქმნის და აუქმებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით.

2. ქალაქებს, ქალაქის რაიონებს ქმნის, აუქმებს, ამტკიცებს მათ საზღვრებს და გარდაქმნის ქალაქებს (კატეგორიას უცვლის) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით, შესაბამისი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის (რაიონის) საკრებულოსა და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობით.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რაიონებს, ქალაქის რაიონებს ქმნიან, აუქმებენ და ქალაქებს გარდაქმნიან (კატეგორიას უცვლიან) ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები ამ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგინებით, შესაბამისი რაიონის ან ქალაქის (ავტონომიური რესპუბლიკის დაქვემდებარების) საკრებულოსა და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობით, რასაც შემდგომ ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

4. რაიონების, თემების ადმინისტრაციულ ცენტრებს, თემებს, სოფლებს, ქმნის და აუქმებს, მათ საზღვრებს ადგენს და ცვლის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით, შესაბამისი რაიონის საკრებულოსა და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობით.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ წესის მე-4 მუხლში მოითვებულ ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეაქვთ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდენტებს ამ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგინებით, შესაბამისი რაიონის, ქალაქის საკრებულოებისა და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობით, რასაც შემდგომ ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

## II. დასახლებული პუნქტების კლასიფიკაცია და მათი მიკუთვნება ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების კატეგორიისადმი

6. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა დასახლებული პუნქტი იყოფა ქალაქისა და სოფლის დასახლებულ პუნქტებად.



ქალაქის დასახლებულ პუნქტებს მიეკუთვნება რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) რაიონული დაქვემდებარების ქალაქები და ქალაქის ტიპის დაბები, სოფლისას — სოფლები მათ ადმინისტრაციული დაქვემდებარების მიუხედავად.

7. დასახლებულ პუნქტებს რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების კატეგორიას მიაკუთვნებს, მათ საზღვრებს ადგენს ცვლის, სოფლის დასახლებულ პუნქტებს ქმნის და აუქმებს და მათ დაქვემდებარებას ადგენს და ცვლის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით, შესაბამისი რაიონის საკრებულოს და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობით.

8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასახლებულ პუნქტებს ავტონომიური რესპუბლიკის და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების კატეგორიას მიაკუთვნებენ, ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების საზღვრებს ადგენენ და ცვლიან, სოფლის დასახლებულ პუნქტებს ქმნიან, აუქმებენ და მათ დაქვემდებარებას ადგენენ და ცვლიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების პრეზიდენტები ამ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგინებით და შესაბამისი რაიონის, ქალაქის (ავტონომიური რესპუბლიკის დაქვემდებარების ქალაქების) საკრებულოსა და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობით, რასაც შემდგომ ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

9. საქართველოს რესპუბლიკის დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს ქალაქები, რომლებიც ყველაზე მსხვილ ეკონომიკურ კულტურულ და ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენენ და რომელთა მოსახლეობის რიცხვი 40 ათასს აღემატება, თუ ამ ქალაქების შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის მიზანშეწონილია, რომ მათ უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ რესპუბლიკური ორგანოები.

ცალკეულ შემთხვევებში რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს ქალაქები, რომელთა მოსახლეობის რიცხვი 40 ათასზე ნაკლებია, თუ ისინი ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებს წარმოადგენენ, აქვთ სტრატეგიული მნიშვნელობა და შემდგომი ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის რიცხვის ზრდის უახლოესი პერსპექტივა.

10. ავტონომიური რესპუბლიკების დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს ქალაქები, რომლებიც ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებს წარმოადგენენ და აქვთ განვითარებული მრეწველობა კომუნალური მეურნეობა, მნიშვნელოვანი სახელმწიფო საბინაო ფონდი, რომელთა მოსახლეობის რიცხვი 30 ათასს აღემატება, თუ ამ ქალაქების შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის მიზანშეწონილია, რომ მათ უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოები.



ცალკეულ შემთხვევებში ავტონომიური რესპუბლიკის დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს ქალაქები, რომელთა მოსახლეობა 30 ათასზე ნაკლებია, თუ ისინი ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებს წარმოადგენენ, აქვთ სტრატეგიული მნიშვნელობა და შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის რიცხვის ზრდის უახლოესი პერსპექტივა.

11. რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს ქალაქის ტიპის დაბები და სოფლის დასახლებული პუნქტები, რომელთაც აქვთ სამრეწველო საწარმოები, კომუნალური მეურნეობა, სახელმწიფო საბინაო ფონდი, სამკურნალო, სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა განვითარებული ქსელი, და მათი მოსახლეობის რიცხვი სულ ცოტა 5 ათასს შეადგენს, რომელთა ორ მესამედზე მეტი მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები არიან.

ცალკეულ შემთხვევებში რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლებული პუნქტები, რომელთა მოსახლეობის რიცხვი 5 ათასზე ნაკლებია, თუ ისინი რაიონების ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებს წარმოადგენენ, აქვთ სტრატეგიული მნიშვნელობა და შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის რიცხვის ზრდის უახლოესი პერსპექტივა.

12. ქალაქის ტიპის დაბების კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს სამრეწველო საწარმოებთან, მშენებლობებთან, სარკინიგზო კვანძებსა და პიდროტექნიკურ ნაგებობებთან განლაგებული დასახლებული პუნქტები, აგრეთვე დასახლებული პუნქტები, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია სანატორიუმები და სხვა სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებები, თუ ამ დასახლებულ პუნქტებს აქვთ სახელმწიფო საბინაო ფონდი და მიაღწიეს კეთილმოწყობის გარკვეულ დონეს, მათი მოსახლეობის რიცხვი სულ ცოტა 2 ათასი კაცია, რომელთა ორ მესამედზე მეტი მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები არიან.

ცალკეულ შემთხვევებში ქალაქის ტიპის დაბების კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლებული პუნქტები, რომელთა მოსახლეობის რიცხვი 2 ათასზე ნაკლებია, თუ მათ აქვთ შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის რიცხვის ზრდის უახლოესი პერსპექტივა.

### III. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტებისათვის სახელის დარქმევა და გადარქმევა

13. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებს, რაიონებს სახელს არქმევს და გადაარქმევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ხოლო რაიონული დაქვემდებარების ქალაქებს, ქალაქის რაიონებს, ქალაქის ტიპის დაბებს, თემებსა და სოფლებს — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონისა და ქალაქის საკრებულოს და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობით.

14. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებს, ქალაქის ტიპის დაბებს, თემებს, სოფლებს სახელს დაარქმევენ და გადაარქმევენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები შესაბამისი რაიონისა და ქალაქის საკრებულოს და პრეფექტის ერთობლივი წარდგინებით, რასაც შემდგომ ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

15. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს და დასახლებულ პუნქტებს სახელს დაარქმევენ და გადაარქმევენ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების, აგრეთვე გეოგრაფიული, ისტორიული, ეროვნული, საყოფაცხოვრებო და სხვა ადგილობრივი პირობების, მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნულ საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრა და წარდგინების შეტანა შეიძლება, როდესაც არსებობს შესაბამისი ქვემდგომი საკრებულოების გადაწყვეტილებანი ან პრეფექტის შუამდგომლობა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის სახელის დარქმევისა და გადაარქმევის საკითხებზე წარდგინებას განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პრეზიდენტთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის დასკვნის მიღების შემდეგ.

16. სახელის დარქმევისა და გადაარქმევის დროს არ დაიშვება რაიონების, ქალაქების, ქალაქის რაიონების, ქალაქის ტიპის დაბებისათვის რესპუბლიკაში უკვე არსებული სახელის მიკუთვნება, ხოლო თემებისა და სოფლის დასახლებული პუნქტებისათვის — რაიონში არსებულისა.

17. იმ დასახლებულ პუნქტებს, სადაც განლაგებულია ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები ან რკინიგზის სადგურები, სახელს დაარქმევენ და გადაარქმევენ შესაბამისად რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს ან ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების პრეზიდენტები, ხოლო რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში — რაიონისა და ქალაქის საკრებულოები, გიდრე საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგინენ შუამდგომლობებს იმ დასახლებული პუნქტებისათვის სახელის გადაარქმევის შესახებ. სადაც განლაგებულია ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები და რკინიგზის სადგურები, სახელის გადაარქმევას შეუთანხმებენ საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს,

18. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო საწარმოებს, რკინიგზის სადგურებს, საზღვაო ნავსადგურებს, აეროპორტებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, სხვა ობიექტებს, ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტებს აგრეთვე ქალაქის, სოფლის, დაბის, თემის საკრებულოების დაქვემდებარებულ



ტერიტორიაზე არსებულ გამზირებს, ქუჩებს, შესახვევებს, მოედნებს, სკვერებს, ხიდებსა და სხვა ნაგებობებს სახელს დაარქმევენ და გადაარქმევენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

**IV. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების აღრიცხვა და რეგისტრაცია**

19. ყველა დასახლებული პუნქტი, რომელთაც გააჩნიათ ტერიტორია და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა, უნდა აღირიცხოს, გატარდეს რეგისტრაციაში და სახელი მიეკუთვნოს.

20. დროებითი მნიშვნელობის მქონე მცირე დასახლებანი, რომელთაც არ ჰყავს მუდმივმცხოვრები მოსახლეობა, ან რომლებიც მეურნეობის რომელიმე დარგის სისტემის მომსახურებრივი მნიშვნელობის ობიექტებია (რკინიგზის სამსახურთა შენობები, მეტყევეთა, გზის ოსტატთა სახლები, საველე ბანაკები, მეტეოსადგურები, საზაფხულო დასასვენებელი სახლები და ა. შ.), არ წარმოადგენენ ცალკე დასახლებას და მიეკუთვნებიან იმ დასახლებულ პუნქტებს, რომლებთანაც ადმინისტრაციულად ან ტერიტორიულად არიან დაკავშირებული.

21. საქართველოს რესპუბლიკის ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულსა და დასახლებულ პუნქტს აღრიცხავენ და გაუქმებულებს სააღრიცხვო მონაცემებიდან ამოიღებენ რაიონებისა და ქალაქების პრეფექტურა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნო ან პრეზიდენტის შესაბამისი სამსახური.

ავტონომიური რესპუბლიკების დაქვემდებარების რაიონების (ქალაქების) საზღვრებში არსებულ დასახლებულ პუნქტებს აღრიცხავენ, ახლად წარმოქმნილ რეგისტრაციაში გაატარებენ, გაუქმებულს სააღრიცხვო მონაცემებიდან ამოიღებენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდენტები, შესაბამისი რაიონის და ქალაქის პრეფექტურები.

22. სააღრიცხვო მონაცემებიდან ამოღებული უნდა იქნეს ის დასახლებული პუნქტები, საიდანაც წავიდნენ ან გადასახლდნენ მცხოვრებნი, აგრეთვე სხვა დასახლებულ პუნქტებთან ტერიტორიულად შეზრდილი დასახლებული პუნქტები.

**V. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განსახილველად წარსადგენი დოკუმენტებისა და მასალების ნუსხა. ცნობების გამოქვეყნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში ცვლილებების შესახებ**

23. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დყოფის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტებისათვის სახელის დარქმევისა და გადაარქმევის საკითხებზე შუამდგომლობებთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს აგრეთვე დოკუმენტები და საცნობარო მასალები თანდართული ნუსხის შესაბამისად.



24. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების და მათი პრეზიდიუმების გადაწყვეტილებანი ამ წესის მე-3, მე-5, მე-8, მე-10 და მე-14 მუხლებში მითითებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე ქალაში შედის „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებებში“ მათი გამოქვეყნების შემდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის დანართი

**389** ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, რაიონების, ქალაქების; ქალაქის ტიპის დაბავის, თემებისა და სოფლებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის საკითხებზე და ბადარქმევის საკითხებზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ან პრეზიდიუმისათვის წარსადგინი დოკუმენტებისა და საცნობარო მასალების

**ნ უ ს ხ ა**

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის საკითხებზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების გადაწყვეტილებებს, რაიონისა და ქალაქის საკრებულოებისა და პრეფექტების ერთობლივ შუამდგომლობებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა ან პრეზიდიუმისათვის წარდგენისას თან დაერთვის შემდეგი დოკუმენტები და საცნობარო მასალები:

**ახალი რაიონის შექმნისას**

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების დადგენილებები, შესაბამისი ქალაქის საკრებულოს (ქალაქის რაიონის შექმნისას) და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობანი ახალი რაიონის შექმნის შესახებ.
2. შესაბამისი რაიონის საკრებულოსა და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობა დასაწვრილერითეულბეღლი რაიონის დაწვრილერითეულბების შესახებ.
3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია ახალი რაიონის შექმნის საჭიროება და მოცემულია დასაწვრილერითეულბეღლი და ახლად შესაქმნელი რაიონების დახასიათება.

დახასიათებაში უნდა აღინიშნოს:

ა) ტერიტორიის (მათ შორის სახნავი მიწის) ფართობი, მოსახლეობის რიცხვი, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, თემების, სოფლების რაოდენობა; კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების, საშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების და მათი განვითარების პერსპექტივები, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა; სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რაოდენობა და ა. შ.

ბ) ახლად შესაქმნელი რაიონის სავარაუდო ბიუჯეტი;

გ) მანძილი დასაწვრილერთეულელებელი და ახლად შესაქმნელი რაიონების ცენტრებიდან თემების ცენტრებამდე;

დ) ის დასახლებული პუნქტი, სადაც ნავარაუდევია ახალი რაიონის ცენტრის განლაგება, მისი ადგილმდებარეობა, მოსახლეობის რიცხვი, სამრეწველო საწარმოების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა ნუსხა; არის თუ არა რაიონული ორგანიზაციების მოსათავსებელი შენობები, რა მდგომარეობაშია მიმოსვლის გზები, კავშირგაბმულობის საშუალებები, რა მანძილია რაიონული ცენტრიდან მისი ადმინისტრაციული დაქვემდებარების თემებამდე, უახლოესი რკინიგზის სადგურის სახელწოდება და მანძილი ამ სადგურამდე;

ე) ახლად შესაქმნელი რაიონის სახელწოდება და მისი დასაბუთება;

ვ) ახლად შესაქმნელი რაიონის მოსახლეობის მიერ დასაწვრილერთეულელებელი რაიონის საკრებულოში არჩეულ დეპუტატთა რაოდენობა;

ზ) ახლად შესაქმნელ რაიონში ხელისუფლების ორგანოს შექმნის წესი.

4. დასაწვრილერთეულელებელი რაიონის სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია ქალაქები, შესაქმნელი რაიონის დაქვემდებარებაში მყოფი თემები, არსებული და ახლად შექმნილი რაიონებისა და მათი ცენტრების მიმოსვლის გზები, საზღვრები.

### რაიონის გაუქმებისას

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების დადგენილებები, შესაბამისი ქალაქის საკრებულოს და პრეფექტის შუამდგომლობანი რაიონის გაუქმების შესახებ.

2. გასაუქმებელი რაიონის საკრებულოს და პრეფექტის ერთობლივი დაწყვეტილება მისი გაუქმების თაობაზე.

3. ახსნა-ვანმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია რაიონის გაუქმების საჭიროება და მოცემულია გასაუქმებელი და გასამსხვილებელი რაიონების დახასიათება.

დახასიათებაში უნდა აღინიშნოს:

ა) ტერიტორიის (მათ შორის სახნავი მიწის) ფართობი, მოსახლეობის რიცხვი, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, თემების, სოფლების, კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაციების რაოდენობა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა; სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რაოდენობა და ა. შ.;

ბ) გასამსხვილებელი რაიონის სავარაუდო ბიუჯეტი;

გ) მანძილი გასაუქმებელი და გასამსხვილებელი რაიონების ცენტრებიდან თემების ცენტრებამდე;



დ) გასაუქმებელი და გასამსხვილებელი რაიონების საკრებულოების დეპუტატთა რიცხვი.

4. გასამსხვილებელი რაიონის სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია მისი არსებული და სავარაუდო საზღვრები, აკრეთვე ქალაქები, ქალაქის ტიპის დაბები, თემები და სოფლები, რაიონის ტერიტორიაზე მიმოსვლის გზები.

### რაიონის ადმინისტრაციული ცენტრის გადატანისას

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების გადაწყვეტილებანი, შესაბამისი რაიონის საკრებულოსა და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობა რაიონის ადმინისტრაციული ცენტრის გადატანის შესახებ.

2. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია რაიონის ცენტრის გადატანის საჭიროება და მოცემულია იმ დასახლებული პუნქტის დახასიათება, სადაც ნავარაუდევია რაიონის ცენტრის გადატანა.

დახასიათებაში უნდა აღინიშნოს დასახლებული პუნქტის ადგილმდებარეობა, მოსახლეობის რიცხვი, არის თუ არა სამრეწველო საწარმოები, სოციალურ-კულტურული დაწესებულებები, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები; მათი განვითარების პერსპექტივები; არის თუ არა საკრებულოსა და პრეფექტურის განყოფილებების, სამმართველოების, აკრეთვე რაიონული ორგანიზაციების მოსათავსებელი შენობები; არის თუ არა და რა მდგომარეობაშია სავარაუდო რაიონულ ცენტრთან მიმოსვლის გზები და კავშირგაბმულობის საშუალებანი; მანძილი რკინიგზის სადგურამდე.

3. რაიონის სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია რაიონის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში არსებული ქალაქებისა და თემების ცენტრები.

### ახალი თემის ან სოფლის შექმნისას

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების გადაწყვეტილებანი, შესაბამისი რაიონის (ქალაქის) საკრებულოსა და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობა ახალი თემის შექმნის შესახებ.

2. დასაწვრილერთეულებელი თემის საკრებულოს შუამდგომლობა მისი დაწვრილერთეულების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია ამ საკრებულოს სხდომაზე.

3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია ახალი თემის ან სოფლის შექმნის საჭიროება და მოცემულია დასაწვრილერთეულებელი და ახლად შესაქმნელი თემის ან სოფლის დახასიათება.

დახასიათებაში უნდა აღინიშნოს:

ა) ტერიტორიის (მათ შორის სახნავი მიწის) ფართობი, მოსახლეობის რიცხვი, კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების ჩაოდენობა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა, სოციალურ-კულტურული და-



წესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რაოდენობა და ა. შ.;

ბ) შესაქმნელი თემის ან სოფლის სავარაუდო ბიუჯეტი;

გ) დასახლებული პუნქტების ნუსხა და მანძილი ამ პუნქტებიდან არსებული და ახლად შესაქმნელი თემის ცენტრამდე;

დ) არის თუ არა ახლად შექმნილი თემის ან სოფლის საკრებულოს გამგეობის მოსათავსებელი შენობები;

ე) დასაწვრილერთეულბელი თემის საკრებულოში არჩეულ დეპუტატთა საერთო რაოდენობა და ცალკე ახლად შესაქმნელი თემის ან სოფლის მოსახლეობის მიერ ამ საკრებულოში არჩეულ დეპუტატთა რიცხვი;

ვ) ახლად შესაქმნელი თემის ან სოფლის სახელწოდება და მისი დასაბუთება;

ზ) ახლად შესაქმნელ თემში ან სოფელში ხელისუფლების ორგანოს შექმნის წესი.

4. სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია დასაწვრილერთეულბელი და ახლად შესაქმნელი თემების, მათი ცენტრების, დასახლებული პუნქტების საზღვრები, კოლმეურნეობები, სახელმწიფო მეურნეობები, მიმოსვლის გზები.

### თემის ან სოფლის გაუქმებისას

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების გადაწყვეტილებანი, შესაბამისი რაიონის (ქალაქის) საკრებულოსა და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობა თემის ან სოფლის გაუქმების შესახებ.

2. გასაუქმებელი თემის ან სოფლის საკრებულოს გადაწყვეტილება თემის ან სოფლის გაუქმების შესახებ.

3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია თემის ან სოფლის გაუქმების საჭიროება და მოცემულია გასაუქმებელი და გასამსხვილებელი თემის დახასიათება.

დახასიათებაში უნდა აღინიშნოს:

ა) ტერიტორიის (მათ შორის სახნავი მიწის) ფართობი, მოსახლეობის რიცხვი, კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების რაოდენობა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა, სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რაოდენობა და ა. შ.;

ბ) გასამსხვილებელი თემის სავარაუდო ბიუჯეტი;

გ) დასახლებული პუნქტების ნუსხა და მანძილი ამ პუნქტებიდან გასაუქმებელი და გასამსხვილებელი თემის ცენტრამდე;

დ) გასაუქმებელი და გასამსხვილებელი თემის საკრებულოების დეპუტატთა რაოდენობა.

4. გასამსხვილებელი თემის სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია მისი არსებული და სავარაუდო საზღვრები, აგრეთვე დასახლებული პუნქტები, კოლმეურნეობები, სახელმწიფო მეურნეობები და მიმოსვლის გზები.

**დასახლებული პუნქტების რაიონული და რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიისათვის მიკუთვნებისას**

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების დადგებილებები, შესაბამისი რაიონის, ქალაქის (საქართველოს რესპუბლიკის დაქვემდებარების ქალაქის) საკრებულოების გადაწყვეტილებები დასახლებული პუნქტის რაიონული, რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიისათვის მიკუთვნების შესახებ.

2. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია დასახლებული პუნქტის გარდაქმნის საჭიროება და მოცემულია მისი დახასიათება.

დახასიათებაში უნდა აღინიშნოს:

ა) გარდასაქმნელი დასახლებული პუნქტის გეოგრაფიული მდებარეობა, უახლოესი რკინიგზის სადგურის სახელწოდება და მანძილი ამ სადგურამდე;

ბ) გარდასაქმნელი დასახლებული პუნქტის მოსახლეობის საერთო რიცხვი და ცალკე მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა;

გ) სამრეწველო საწარმოთა ნუსხა, მათი საქვეუწყებობა და თითოეული მათგანის მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, სამრეწველო საწარმოთა განვითარების პერსპექტივები;

დ) დასახლებული პუნქტების კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის, საბინაო ფონდების რაოდენობა და მოცულობა (შიეთითოს ვის ეკუთვნის), სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რაოდენობა;

ე) ახლად შესაქმნელი ქალაქის სავარაუდო ბიუჯეტი, პრეფექტურის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაკთა შტატები და ხელფასის წლიური ფონდი. აპარატის შენახვის დამატებითი ხარჯების დაფარვის წყაროები; არის თუ არა სამმართველოების ახალი აპარატის მოსათავსებელი შენობები;



ვ) გარდასაქმნელი დასახლებული პუნქტის მიწის ფართობი (აღინიშნოს ძირითადი მიწათმოსარგებლენი);

ზ) გარდასაქმნელი დასახლებული პუნქტის სახელწოდება და მისი დასახულება;

თ) ქალაქის საკრებულოს დეპუტატთა რიცხვი, ახლადშესაქმნელ ქალაქში ხელისუფლების ორგანოს შექმნის წესი.

3. გარდასაქმნელი დასახლებული პუნქტი: გეგმა მისი საზღვრის მითითებით და ქალაქის საზღვრის აღწერილობა.

**დასახლებული პუნქტის ქალაქის ტიპის დაბის კატეგორიისათვის მიკუთვნებისას**

1. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების, შესაბამისი რაიონის, ქალაქის (საქართველოს რესპუბლიკის დაქვემდებარების ქალაქის) საკრებულოების გადაწყვეტილებები დასახლებული პუნქტის ქალაქის ტიპის დაბის კატეგორიისათვის მიკუთვნების შესახებ.

2. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასახულებულია დასახლებული პუნქტის გარდაქმნის საჭიროება და მოცემულია მისი დახასიათება.

დახასიათებაში უნდა აღინიშნოს:

ა) დასახლებული პუნქტის გეოგრაფიული მდებარეობა, უახლოესი რკინიგზის სადგურის სახელწოდება და მანძილი ამ სადგურამდე, მანძილი თემის ცენტრამდე, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ეს დასახლებული პუნქტი;

ბ) მოსახლეობის საერთო რიცხვი, მათ შორის ცალკე მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრთა რიცხვი;

ვ) სამრეწველო საწარმოების სუსხა, მათი საქველუწყებობა, სიმძლავრე, თითოეული მათგანის მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, სამრეწველო საწარმოთა განვითარების პერსპექტივები, დასახლებული პუნქტის კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის, საბინაო ფონდების რაოდენობა და მოცულობა, ვის ეკუთვნის ფონდები; სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, საავტრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რაოდენობა და ა. შ.;

დ) დასახლებული პუნქტის მიწის ფართობი, აღინიშნოს მიწათმოსარგებლენი (კოლმეურნეობები, სახელმწიფო მეურნეობები, დამსმარე მეურნეობები), სახმიწფონდი, სატყეო ფონდი, დაბის გეგმა, მისი საზღვარი;

ე) დაბის სავარაუდო ბიუჯეტი;

ვ) არსებობს თუ არა დაბის საკრებულოს გამგეობის მოსათავსებელი შენობა, ქალაქის ტიპის დაბის სახელწოდება და მისი დასახულება;

ზ) გარდასაქმნელი დასახლებული პუნქტის მოსახლეობის მიერ თემის საკრებულოში არჩეულ დეპუტატთა რიცხვი, ახლადშესაქმნელ ქალაქის ტიპის დაბაში ხელისუფლების ორგანოს შექმნის წესი.

### ქალაქის საზღვრების დადგენა-გაფართოებისას

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების, შესაბამისი რაიონის, ქალაქის (საქართველოს რესპუბლიკის დაქვემდებარების ქალაქის) საკრებულოს გადაწყვეტილებები ქალაქის საზღვრის დადგენისა და გაფართოების შესახებ.
2. თემის საკრებულოს გადაწყვეტილება, რომლის ტერიტორიის ნაწილი მოქცეულია ქალაქის საზღვრებში.
3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც უნდა დასაბუთდეს ქალაქის საზღვრების დადგენისა და გაფართოების საჭიროება და აღინიშნოს:
  - ა) ქალაქის არსებული და სავარაუდო ტერიტორიის ფართობი;
  - ბ) ქალაქის საზღვრებში მოქცეული დასახლებული პუნქტების ნუსხა თითოეული მათგანის მოსახლეობის რიცხვის მითითებით;
  - გ) ქალაქის საზღვრებში მოქცეული მიწის ფართობი მიწათმოსარგებლეთა მითითებით (კოლმეურნეობები, სახელმწიფო მეურნეობები, დამხმარე მეურნეობები, სახშიფფონდისა და სახტყეფონდის მიწები), ამ მიწების ქალაქის საზღვრებში გადაცემა.
4. ქალაქის გეგმა არსებული და სავარაუდო საზღვრების მითითებით მის საზღვრებში მოქცეული მიწის ექსპლიკაცია.
5. ქალაქის დასაბრუნებელი საზღვრის აღწერილობა რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის დაქვემდებარების ქალაქებისათვის).

### რაიონების, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, თემების, სოფლებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევისას

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების დადგენილებები, შესაბამისი რაიონის, ქალაქის (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის) საკრებულოებისა და პრეფექტების ერთობლივი შუამდგომლობანი,
2. იმ რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, ქალაქის ტიპის დაბის, თემის საკრებულოების შუამდგომლობანი, რომელთაც სახელი უნდა გადაერქვათ.
3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია ქალაქის, რაიონის, ქალაქის რაიონის, ქალაქის ტიპის დაბის, თემის, სოფლისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის საჭიროება.

### რაიონის საზღვრების შეცვლისას

1. შესაბამისი რაიონების საკრებულოებისა და პრეფექტების წინადადებები და დასკვნები, რომელთა საზღვრების შეცვლა სავარაუდოა.



2. ცნობა, რომელშიც დასაბუთებულია გასათვალისწინებელი ცვლილებების მიზანშეწონილობა, მოცემულია რაიონების ეკონომიკური დახასიათება არსებულ და სავარაუდო საზღვრებში.

დახასიათებაში უნდა აღინიშნოს ტერიტორიის (მათ შორის სახნავე მიწის) ფართობი, მოსახლეობის რიცხვი, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, თემების, სოფლების, კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების რაოდენობა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა, სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა რაოდენობა და ა. შ., აგრეთვე ერთი რაიონიდან მეორისათვის გადასაცემი ქალაქის, ქალაქის ტიპის დაბის, თემის, სოფლის ეკონომიკური მდგომარეობა, ძატი მიმოსვლის გზები და კავშირგაბმულობის საშუალებანი, მანძილი რაიონცენტრამდე და უახლოეს რკინიგზის სადგურამდე.

3. რაიონების სქემატური რუკა მათ არსებულ და სავარაუდო საზღვრებში, რომელზეც უნდა აღინიშნოს ქალაქები, ქალაქის ტიპის დაბები, თემები, სოფლები, მიმოსვლის გზები.

### თემის ცენტრის გადატანისას

1. შესაბამისი რაიონის საკრებულოს და პრეფექტის შუამდგომლობა და თემის საკრებულოს გადაწყვეტილება ცენტრის გადატანის შესახებ.

2. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემულია თემის არსებული და სავარაუდო ცენტრის დახასიათება, მითითებულია მანძილი ცენტრიდან თემის ტერიტორიაზე განლაგებულ დასახლებულ პუნქტებამდე.

3. თემის სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია მისი არსებული და სავარაუდო ცენტრები.

### თემის საზღვრების შეცვლისას

1. შესაბამისი რაიონის საკრებულოსა და პრეფექტის ერთობლივი შუამდგომლობა, იმ თემების საკრებულოთა შუამდგომლობანი, რომელთა შორის იცვლება საზღვრები.

2. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია გასათვალისწინებულ ცვლილებათა მიზანშეწონილობა და მოცემულია თემის ეკონომიკური დახასიათება არსებულ და ახალ საზღვრებში, აგრეთვე გადასაცემი ტერიტორიების, დასახლებული პუნქტების ეკონომიკური დახასიათება, მანძილი თემის ცენტრამდე.

### ახლად შექმნილი დასახლებული პუნქტების რეგისტრაციისას

1. შესაბამისი რაიონის საკრებულოს და პრეფექტის ერთობლივი ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც უნდა აღინიშნოს დასახლებული პუნქტის ადგილმდებარეობა, მანძილი თემის ცენტრიდან რაიონის ცენტრამდე, უახლოეს რკინიგზის სადგურამდე; რა ვითარებაში შეიქმნა, როდის და ვინ გამოყო ადგილი დასახლებული პუნქტისათვის, ვინ დაამტკიცა მისი განაშენიანების გეგმა; განვითარების პერსპექტივები, მოსახლეობის რიცხვი და მისი შემადგენლობა საქმიანობის იმ სახეობის მიხედვით, რომელიც ჭარბობს.

2. წინადადება დასახლებული პუნქტისათვის სახელის დარქმევისა და გარქმევის შესახებ და მისი დასაბუთება.

3. თემის სექმატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია ახლად შექმნილი დასახლებული პუნქტი.

### დასახლებული პუნქტის გაუქმებისას

1. შესაბამისი რაიონის, ქალაქის საკრებულოსა და პრეფექტის გადაწყვეტილება.

2. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია დასახლებული პუნქტის გაუქმების, გაუქმებული დასახლებული პუნქტის ტერიტორიის შესაბამისი ადგილობრივი საკრებულოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ შემადგენლობაში გადაცემის საჭიროება და მოცემულია ცნობები მოსახლეობის სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, სოციალურ-კულტურული ობიექტების შესახებ.



ახსნა-განმარტებით ბარათს ხელს აწერენ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეები, რაიონისა და ქალაქის (საქართველოს რესპუბლიკის დაქვემდებარების ქალაქის) პრეფექტები.

ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების გეგმებსა და თემების რუკებს უნდა ჰქონდეს მასშტაბი და პირობითი ნიშნები.

გეგმებსა და რუკებს ხელს აწერს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) პრეფექტი; მათი დამოწმება ხდება ბეჭდით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 390 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეთანხმების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კონსტიტუციის 104-ე მუხლში:

ა) მე-11 და მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:



„11) განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს ქალაქების დაქვემდებარებას, სახელს უცვლის რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებს“;

„12) ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრების შეცვლას; ქმნის და აუქმებს რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებსა და ქალაქებს“;

ბ) მე-13 პუნქტი ამოღებულ იქნეს.  
2. კონსტიტუციის 121<sup>4</sup> მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 10<sup>1</sup> და 10<sup>2</sup> პუნქტები;

„10<sup>1</sup>) ქმნის ქალაქებს რაიონებში და ქალაქების რაიონებს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს ქალაქების დაქვემდებარებას, სახელს უცვლის ქალაქებსა და ქალაქების რაიონებს, თემებს, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს“;

10<sup>2</sup>) ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების რაიონულ დაყოფას, ქალაქებისა და ქალაქების რაიონების შექმნას, ქალაქების დაქვემდებარების შეცვლას, რაიონების ქალაქების, ქალაქების რაიონებისათვის სახელის დარქმევასა თუ გადარქმევას, აგრეთვე სხვა დასახლებული პუნქტებისათვის სახელის გადარქმევას“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. შამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 23 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**ვე** საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ითვალისწინებს რა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კონსტიტუციის პრეამბულას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 ნაწილი: „1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.“

რეფერენდუმის შედეგი გახდა დამატებითი სამართლებრივი და ზნეობრივი საფუძველი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდ-

გენის აქტის მიღებისა, რითაც მთელ მსოფლიოს ემცნო ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ერთსულოვანი ნება.

2. კონსტიტუციის პირველ მუხლში სიტყვებს „რესპუბლიკა არის“ დაემატოს სიტყვა „სუვერენული“.

3. კონსტიტუციის 31-ე მუხლში:

ა) მე-3 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სხვა“;

ბ) მე-5 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

4. 48-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვა „მშრომელებისა“ შეიცვალოს სიტყვით „მოქალაქეთა“.

5. მე-7 თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საქართველოს რესპუბლიკა“;

6. 68-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

7. 69-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

8. 70-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

9. 74-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

10. 75-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „რუსული და“.

11. 76-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკა თანასწორუფლებიან ურთიერთობას ამყარებს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დებს მათთან ხელშეკრულებებს და უცვლის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლებს, მონაწილეობს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში“.

12. 78-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

13. 79-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“, „სსრ კავშირის კონსტიტუციასა და“.

14. მე-80 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და სსრ კავშირის“, „სსრ კავშირისა და“.

15. 92-ე მუხლის მე-4 ნაწილში სიტყვები „მის უწყებათა, განყოფილებათა და სამმართველოთა“ შეიცვალოს სიტყვებით „მისი სამსახურების“.

16. 102-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და სსრ კავშირის“.

17. 104-ე მუხლში:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„განიხილავს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებს“;

ბ) მე-17 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „პირველ მოადგილესა და“.

18. 112-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე“.

19. 113-ე მუხლის მე-14 პუნქტს დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი“.

20. 114-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „პირველი“ და „პირველ“.

21. 115-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „პირველი მოადგილის და“.

22. 125-ე მუხლში:

ა) პირველ პუნქტში სიტყვები „მონაწილეობს ფასების, შრომის ანაზღაურების, სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის გატარებაში“ შეიცვალოს სიტყვებით „ატარებს ფასების, შრომის ანაზღაურების, სოციალური უზრუნველყოფის ერთიან პოლიტიკას“;

ბ) მე-2 პუნქტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებში კოორდინაციასა და“ შეიცვალოს სიტყვებით „თავისი კომპეტენციის ფარგლებში“.

23. 131-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კონსტიტუცია“.

24. 134-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის“ და „სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტისა და“.

25. 138-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო“ შეიცვალოს სიტყვით „საერთო-რესპუბლიკური“.

26. 163-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“.

II. დავეალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოიყვანონ ამ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. ბამსახურია.

თბილისი, 1991 წლის 23 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**392** საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მოქმედების შეჩერების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 15 ნოემბრის კანონით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერებულია საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეჩერებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ღებერთირობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. ბამსახურია.

თბილისი, 1991 წლის 23 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**393** საქართველოს რესპუბლიკის კრედიტის პოლიტიკისა და ღირსების დაცვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელსაც დაუშვებლად მიაჩნია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, პატივისა და ღირსების შელახვა, ადგენს:

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი მინაარსის 206<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი 206<sup>1</sup>. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შეურაცხყოფა ან მის მიმართ ცილისწამება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საჯარო შეურაცხყოფა ან მის მიმართ ცილისწამება —

ისჯება ჯარიმით სამი ათას მანეთამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი პრესის ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა გამოყენებით, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთით ექვს წლამდე ვადით“.

2. მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებას, რომელმაც გამოაქვეყნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შეურაცხყოფელი ან მის მიმართ ცილისწამების შემცველი მასალა, სასამართლოს გადაწყვეტილებით ეკისრება ჯარიმა ოცდახუთათას მანეთამდე.

მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალების საქმიანობა, რომელიც ვანგობებით გაავრცელებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შეურაცხყოფელ ან მის მიმართ ცილისწამების შემცველ მასალებს, შეიძლება შეწყდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

3. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 23 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო გაეცნო სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 12 მაისის დადგენილებას „პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების და სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 აპრილის დადგენილების შესრულებს შესახებ“ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების სახალხო დეპუტატთა ყრილობის 1991 წლის 4 მაისის დადგენილების თაობაზე და აცხადებს, რომ ხემოადინშნული დადგენილება წარმოადგენს სსრკ უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის უხეშ მცდელობას. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია შეადგენს საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს და არავის აქვს მისი სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან შეერთების საკითხის განხილვის უფლება. სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 12 მაისის დადგენილება ეწინააღმდეგება თვით სსრკ კონსტიტუციას, სსრკ 1991 წლის 26 აპრილის კანონს „სსრკ-სა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამოიჯნის შესახებ“, სსრკ პრეზიდენტისა და ცხრა მოკავშირე რესპუბლიკის ერთობლივ განცხადებას და ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შესახებ მიღებულ ყველა დოკუმენტს.

სამწუხაროა, რომ სსრკ უზენაესი საბჭოს 12 მაისის დოკუმენტი მიიღეს შაშინ, რვდესაც საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ინიციატივით და საკავშირო დეპუტატთა მონაწილეობით შექმნილია სამხრეთი საპარლამენტთაშორისო კომისია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, სსრკ უზენაესი საბჭოს, რსფსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობით, რომელმაც უნდა შეიქმნათ წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად. სსრკ უზენაესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება ეპკვეშ აყენებს სსრკ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს 1991 წლის 24 აპრილს მიღებული დადგენილებით დასახული ღონისძიებების რეალიზაციის შესაძლებლობას. არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ეროვნებათა საბჭოს აღნიშნულ სხდომაზე ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. ნიშანოვის წინადადებით მიღწეის „კონსენსუსის“, რომელიც ითვალისწინებდა ყოფილი ავტონომიური ოლქის დეპუტატთა თავყრილობაზე უკანონოდ გამოცხადებული რესპუბლიკის გაუქმებას და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების მონაწილეობას სსრკ, რსფსრ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების დეპუტატთა ერთობლივ კომისიაში. ამგვარად, დეპუტატ ა. ჩეხოვის აქცია ქ. ცხინვალში უნდა შევაფასოთ, როგორც პროვოკაციული ნაბიჯი, სადებუტატო ეთიკის უხეშ დარღვევა და ეროვნებათა საბჭოს დადგენილების უგულებელყოფა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ უზენაეს საბჭოს, როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, უფლება არ ჰქონდა განეხილა იმ ყოფი-

ლი დეპუტატების დადგენილება, რომლებმაც თვითონ მოიხსნეს უფლება-  
მოსილება ავტონომიური ოლქის რესპუბლიკად გამოცხადებით.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს აღნიშნული დადგენილება კიდევ ერთხელ  
გვიჩვენებს, რომ სსრკ ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს თავისუფ-  
ლებისათვის მებრძოლი რესპუბლიკების დასასჯელად და ამ მიზნით მათი ტე-  
რიტორიული მთლიანობის ხელყოფასაც არ ერიდება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მტკიცე პროტესტს გამო-  
თქვამს სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 12 მაისის დადგენილების გამო,  
მიიჩნევს მას საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად, რაც ეწი-  
ნააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინ-  
ციპებს. საქართველოს რესპუბლიკის მიმართ მსგავსი პოლიტიკის გაგრძელება  
მიგვიყვანს ყოველად გაუთვალისწინებელ შედეგებამდე. ასეთ შემთხვევაში  
პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანე-  
ლობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ახატიანი,

თბილისი, 1991 წლის 14 მაისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართველი

### **395** რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლი- კის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ბ. ელცინს

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ა. წ. 4 მაისს ქ. ცხინვალში, ყოფილ  
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბ-  
ჭოს უკანონოდ მოწვეულ სესიაზე მიღებული იქნა დადგენილება ე. წ. „სამხ-  
რეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის  
აღდგენის შესახებ, რომელიც თუმცა შედის საქართველოს რესპუბლიკის შე-  
მაღდგენლობაში, მაგრამ თურმე „ადმინისტრაციულად ექვემდებარება“ რუ-  
სეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის იურისდიქ-  
ციას. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ა. წ. 24 აპრილს კონსტრუქციული მოლა-  
პარაკების შედეგად საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს  
დადგენილებით პარიტეტულ საწყისებზე იქმნება საბჭოთა კავშირის, რსფსრ-ს  
და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების დეპუტატთა კომისია ში-  
და ქართლში მცხოვრები ოსი მოსახლეობის წარმომადგენლის მონაწილეო-  
ბით.



ამ კომისიას ევალუება შიდა ქართლში შეიარაღებული კონფლიქტის პო-  
ლიტიკური საშუალებებით მოგვარება. გაჩნდა ამ რეგიონში საქართველოს რეს-  
პუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და იქ მცხოვრები ოსი მოსახლეო-  
ბის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის დაცვის რეალური პერსპექტივები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ შეიძლება პროვოკაციად არ შე-  
ვაფასოთ ოსი სეპარატისტების მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომელთა მიზანია  
არა მარტო ხელი შეუშალონ დაწყებულ პოლიტიკურ პროცესს, არამედ პრაქ-  
ტიკულად ჩაშალონ ეს წამოწყება, დაუპირისპირონ ერთმანეთს საქართველოს  
რესპუბლიკისა და რსფსრ-ს იურისდიქცია ამ რეგიონში.

არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ეს სესია  
ჩატარდა ა. ჩეხოვეის — საბჭოთა კავშირის სახალხო დემუტატის ყოფილი  
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან, — თავმჯდომარეობით. თუ არა-  
ფერს ვიტყვით იმაზე, რომ ა. ჩეხოვეი — საქართველოს კომპარტიის სამხ-  
რეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი — გადაყენე-  
ბული იყო თვით ოსი მოსახლეობის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყე-  
ნებისათვის, მას არ ჰქონდა უფლება სათავეში ჩასდგომოდა ოს ექსტრემისტთა  
ახალ პროვოკაციას, რადგანაც კარგად იცოდა თუ რა მსჯელობა იყო ეროვ-  
ნებათა საბჭოს სხომაზე და რაზე შეთანხმდნენ დემუტატები.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
პრეზიდიუმმა ა. წ. 7 მაისს თავისი დადგენილებით იურიდიული ძალის არ-  
მქონედ ცნო ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს  
ჩეანიმაციის ცდა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში დარწმუნე-  
ბულია, რომ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭო და მისი თავმჯდომარე ოფიციალურად ვაემიჯნებიან ოს ექს-  
ტრემისტთა პროვოკაციულ აქტს, რომელიც ყოვლად შეუთავსებელია ორ  
სუვერენულ რესპუბლიკას შორის წამოწყებულ ჰემმარიტად თანასწორუფ-  
ლებიან ურთიერთობასთან. ამ აქტის თქვენი მხრიდან რეაგირების გარეშე  
დატოვება შეფასდება როგორც მისი ფაქტობრივი აღიარება და საქართველოს  
რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. ბამსახშარაძე.

თბილისი, 1991 წლის 7 მაისი.



# 396 საბჭოთა კავშირის კრეზიდიენტს ბატონ მ. გორბაჩოვს

## საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს

### ბატონ რ. ნიზანოვს

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა ა. წ. 4 მაისს ქ. ცხინვალში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს უკანონოდ მოწვეულ სესიაზე მიღებულ იქნა დადგენილება ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რომელიც თუმცა შედის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, მაგრამ თურმე „ადმინისტრაციულად ექვემდებარება“ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის იურისდიქციას. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ა. წ. 24 აპრილს კონსტრუქციული მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დადგენილებით პარიტეტულ საწყისებზე იქმნება საბჭოთა კავშირის, რსფსრ-ს და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების დეპუტატთა კომისია შიდა ქართლში მცხოვრები ოსი მოსახლეობის წარმომადგენლის მონაწილეობით.

ამ კომისიას ევალება შიდა ქართლში შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოგვარება. გაჩნდა ამ რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და იქ მცხოვრები ოსი მოსახლეობის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის დაცვის რეალური პერსპექტივები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ შეიძლება პროვოკაციად არ შევადგათ ოსი სეპარატისტების მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომელთა მიზანია არა მარტო ხელი შეუშალონ დაწყებულ პოლიტიკურ პროცესს, არამედ პრაქტიკულად ჩაშალონ ეს წამოწყება, დაუპირისპირონ ერთმანეთს საქართველოს რესპუბლიკისა და რსფსრ-ს იურისდიქცია ამ რეგიონში.

არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ეს სესია ჩატარდა ა. ჩეხოვეის — საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან, — თავმჯდომარეობით. თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ა. ჩეხოვეი — საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი — გადაყენებული იყო ოვით ოსი მოსახლეობის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის. მას არ ჰქონდა უფლება სათავეში ჩასდგომოდა ოს ექსტრემისტთა ახალ პროვოკაციას. რადგანაც კარგად იცოდა თუ რა მსჯელობა იყო ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე და რაზე შეთანხმდნენ დეპუტატები.

ამასთან დაკავშირებით. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ა. წ. 7 მაისს თავისი დადგენილებით იურიდიული ძალის არმქონედ ცნო ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს რეანიმაციის ცდა.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში მოგმართავთ  
ოქვენ მიიღოთ სასწრაფო ზომები და ოფიციალურად მხარი დაუჭიროთ სა-  
ქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას,  
დაგმოთ ოს სეპარატისტთა დესტრუქციული აქტი; წინააღმდეგ შემთხვევაში  
ექვევით დგება საპარლამენტო კომისიის მუშაობა და კონფლიქტის მშვიდო-  
ბიანი გზით მოგვარების პერსპექტივა.

დარწმუნებული ვართ, რომ ოსი სეპარატისტები ვერ შეძლებენ შიდა  
ქართლში მიმდინარე კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოწესრი-  
გების ჩაშლას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. ბაქსხაშვილი.

თბილისი, 1991 წლის 7 მაისი.

**ბანყოფილება მისამი**

**საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს  
პირველი სესიის**

**ს ს ღ ო მ ე ბ ი**

10 მაისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზე-  
ნაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზი-  
დენტი ზვიად გამსახურდია, რესპუბლიკის მთავრობის წევრები, აგრეთვე ქა-  
ლაქებისა და რაიონების პრეფექტები.

სხდომის დაწყების წინ მისმა მონაწილეებმა წუთიერი დუმილით მიაგეს  
პატივი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ტრაგიკულად დაღუ-  
პული წევრის ნოდარ იმნაძისა და იმათ ხსოვნას, ვინც დაიღუპა საქართვე-  
ლოში ძლიერი მიწისძვრის შედეგად.

უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიისა და დეპუტატის ეთიკის კომისიის  
თავმჯდომარის ბიძინა დანგაძის წარდგინებით დეპუტატებმა განიხილეს რეს-  
პუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის თენგიზ ბეჟაშვილის უღირსი ქცევის სა-  
კითხი და მიიღეს გადაწყვეტილება მისი დეპუტატის უფლებამოსილებათა  
შეწყვეტის შესახებ. ვადაძე შეწყდა აგრეთვე უზენაესი საბჭოს წევრის გივი  
თალაკვაძის სადეპუტატო უფლებამოსილებანი საქართველოს რესპუბლიკის  
შრეწველობის მინისტრის მოადგილედ მის დანიშნებასთან დაკავშირებით.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანმა გიორგი ვულბანმა სესიის განსახილველად გამოიტანა რამდენიმე საკითხი. ვაითვალისწინეს რა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ, მიიღეს გადაწყვეტილება № 96 მარტილისა და № 97 მესტიის საარჩევნო ოლქებში გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩევნების გამართვის ვადის გადატანის შესახებ. არჩევნები დანიშნულია მიმდინარე წლის 21 ივლისისათვის.

უზენაესმა საბჭომ შეიტანა დამატება „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონში, მიიღო დადგენილება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების პირველი სესიების მოწვევის შესახებ.

სესიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის შექმნის საკითხი. აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ბიმურზა აფრასიძე, დავით კუპრეიშვილი, აპოლონ ჭილაგაძე, ნოდარ ნათაძე, ლევან ალექსიძე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მიიღეს შესაბამისი დადგენილება. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნემო ბურჭულაძის წინადადებით, ამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი ავთანდილ იმნაძე. მოითხოვა რა სიტყვა, მან ილაპარაკა კომისიის მომავალი საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, წარმოადგინა მისი წევრები. ამ კომისიის შემადგენლობისა და მასში წარმომადგენლობის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები თედო ნინიძე, თამაზ ჯანელიძე, რომან ვოცირიძე და სხვები.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის აღმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ. ამ საკითხზე აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ბაკურ გულუა, ვაჟა ვურგენიძე, ავთანდილ საყვარელიძე და სხვები, გადაწყდა მიიღონ ეს წესი პირველი წაკითხვით და გამოაქვეყნონ იგი საყოველთაო განხილვისათვის.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დავით კუპრეიშვილმა დეპუტატთა განსახილველად წარმოადგინა საკითხი „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ. ამ საკითხზე გამოვიდნენ დეპუტატები პაატა კოლუაშვილი, ანზორ საკანდელიძე, თამაზ ობგაძე, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი, რის შემდეგაც მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე განცხადებებითა და წინადადებებით სესიაზე გამოვიდნენ ქალაქ თბილისის პრეფექტი ირაკლი ანდრიაძე, საჩხერის



რაიონის პრეფექტი ბესიკ ქუთათელაძე, დეპუტატები როინ მეტრეველი, რომან გოცირიძე, ვაჟა გურგენიძე, შოთა ვაფრინდაშვილი, ალექსანდრე კავსაძე, ნოდარ ნათაძე, რობერტ პეტრიაშვილი და სხვები. მათ მიერ დასმულ ზოგირით საკითხს მაშინათვე გასცეს პასუხი უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებმა ტარიელ გელანტიამ და ნუგზარ მოლოდინაშვილმა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა.

რესპუბლიკაში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ უზენაეს საბჭოს აცნობა ამ სტიქიური უბედურების გამო შექმნილი მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ. მანვე უპასუხა დეპუტატებისათვის მრავალ საინტერესო კითხვას.

14 მაისის სესიის მორიგ სხდომას თავმჯდომარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები, აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

დღის წესრიგში პირველი იყო საკითხი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების წევრთა გაწვევის წესის შესახებ, რომლის კანონის პროექტი პრესაში გამოქვეყნების შემდეგ საყოველთაო განხილვის დროს მიღებული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით წარმოადგინა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის წევრმა თენგიზ ჩაჩავამ. ეს კანონი ერთსულოვნად მიიღო უზენაესმა საბჭომ.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციისა და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ კანონპროექტი წარმოადგინა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანმა გიორგი გულბანმა. აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ დეპუტატები რუსლან დონდაძე, ბიძურზა აფრასიძე, ვაჟა გურგენიძე, გურამ შაქაძე, აკაკი ბობოხიძე, გივი ურიათმყოფელი, მერაბ კიქნაძე, ბექან აბესაძე, თამაზ ყურაშვილი, შოთა ვაფრინდაშვილი, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, ევგენი ხარაძე, მცხეთის რაიონის პრეფექტი იულონ ვაგოშიძე, რის შემდეგ ეს კანონიც მიიღეს.

უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ თედო პაატაშვილმა დეპუტატებს განსახილველად წარუდგინა საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ კანონის პროექტი. მან უზენაესი საბჭოს წევრებს შეახსენა ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის საბჭოთა



დემოკრატიული რესპუბლიკის გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს 4 მაისს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს ცხინვალში უკახოზოდ მოწვეულ სესიაზე. აუწყა დამსწრეთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რა რეაქცია მოჰყვა ამას. ბატონმა თედო პაატაშვილმა დეპუტატებს გააცნო სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 აპრილის დადგენილების შესრულების შესახებ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების სახალხო დეპუტატთა კრების 1991 წლის 4 მაისის დადგენილების თაობაზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმდინარე წლის 12 მაისს მიღებული დადგენილების ტექსტი. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, მიიღო რა ცნობად ეს დადგენილება, სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ გადაწყვიტა ცნობისათვის გადასცეს იგი სსრ კავშირის პრეზიდენტს, აგრეთვე ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომისიას ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტზე მუშაობაში გამოყენებისათვის. ამასთან დაკავშირებით ბატონმა თედო პაატაშვილმა დეპუტატებს განსახილველად წარუდგინა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისი განცხადების პროექტი, იგი მიიღეს აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ლევან ალექსიძე, ნოდარ ნათაძე, აპოლონ სილაგაძე, მაია მაჭავარიანი.

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ კანონპროექტს, გადაწყდა მისი განხილვის გადადება. იგი დაურიგდათ დეპუტატებს გასაცნობად, შენიშვნებისა და წინადადებების შესატანად.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ჭირაქაძე. შეეხო რა ამ არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობას, მან გააცნო უზენაეს საბჭოს ზიძნელები, რომლებსაც აწყდება კომისია ამ მნიშვნელოვანი კამპანიის ორგანიზაციაში. კერძოდ, აღინიშნა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია იძულებულია ძირითადად განიხილოს განცხადებები და საჩივრები კონკრეტული საორგანიზაციო მუშაობის საზიანოდ. კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის ამადლების მიზნით, განსაკუთრებით ახლა, როცა პრეზიდენტის არჩევნებამდე ძალზე ცოტა დარჩა, ბატონმა არჩილ ჭირაქაძემ შესთავაზა უზენაესი საბჭოს პრეზიდენტს, იკისროს განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, რასაც აქამდე ასრულებდა კომისია.

ამ საკითხის განხილვის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, დეპუტატები გიორგი გულბანი, დავით ბერძენიშვილი, როინ მეტრეველი, აკაკი ბობოხიძე, სიტყვა წარმოთქვა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ნუგზარ მოლოდინაშვილმა. მან წინადადება წამოაყენა შეეტანათ დამატებები „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონში, რომელიც მიიღო უზენაესმა საბ-



კომ. მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შექმნას დამოუკიდებელ იურისტთაგან შემდგარი სპეციალური ჯგუფი, რომელიც იკისრებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების განხილვას.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ზეცურიანის წარდგენით უზენაესმა საბჭომ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ზოგერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი. აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები კონსტანტინე ფირცხალავა, ვაჟა ადამია, ბიმურზა აფრასიძე, ლეო ჩიქავა, მიიღეს შესაბამისი კანონი.

უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ჩოლოყაშვილმა განსახილველად დააყენა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონისათვის სახელის შეცვლის საკითხი. განხილვის დროს გამოვიდნენ დეპუტატები აპოლონ სილაგაძე, როინ მეტრეველი, ნოდარ ნათაძე, ქალაქ თბილისის პრეფექტი ირაკლი ანდრიაძე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბაქარ გვიგინიშვილი, რის შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ლენინის რაიონს დაერქვას ღრმადელის რაიონი.

ქალაქ ცხინვალში საგანგებო წესების მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა განსახილველად გამოიტანა საკითხი იქ საგანგებო წესების კიდევ ერთი თვით გაგრძელების შესახებ, აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ დეპუტატი ნოდარ ნათაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე, დეპუტატები გიორგი გულბანი, მათა ნათაძე, დავით ბერძენიშვილი, ვაჟა ადამია, თამაზ დიასამიძე, თედო პაატაშვილი, ავთანდილ პოპიაშვილი, ალექსანდრე ვარძელაშვილი, აკაკი მათიაშვილი. უზენაესმა საბჭომ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხის გამო განცხადებები გააკეთეს და წინადადებები წამოაყენეს დეპუტატებმა შირიან შირიანაშვილმა, ფირუზ დიაკონიძემ, ავთანდილ იმნაძემ, ამირან კალაძემ, აკაკი ბობოხიძემ, პაატა ჩხეიძემ, კონკრეტულ საკითხს ახსნა-განმარტება მისცა უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ თეიმურაზ ქობინაძემ. კანონმდებელთა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია დეპუტატ რომან გოცირიძის განცხადებამ საპარლამენტო უმცირესობის ფრაქციის — „დემოკრატიული ცენტრის“ შექმნის შესახებ.



23 მაისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი ზოგადი უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები, აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

დღის წესრიგის პირველი ორი საკითხის გამო, რომლებიც დაკავშირებული იყო 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასთან და გამართვასთან, გამოვიდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ჭირაქაძე.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ამ არჩევნების გამართვასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე. შემდეგ განიხილეს სესიის იმ წინა სხდოვაზე მიღებული „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონთან დაკავშირებული საკითხი, რომელზეც უზენაესი საბჭოს პრაქტიკაში პირველად რესპუბლიკის პრეზიდენტმა, გამოიყენა რა მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, დაადო ვეტო და შევიდა საკანონმდებლო ინიციატივით. პროცედურის თანახმად, დეპუტატებმა ხმა მისცეს მათ მოერწინათ მიღებული კანონის გაუქმებას და აზრთა გაზიარების შემდეგ, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, მიიღეს ამ კანონის პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული დამატება.

პარლამენტარები დაეთანხმნენ საქართველოს პრეზიდენტს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან თამაზ გველესიანის გათავისუფლების შესახებ. ამ საკითხის განმარტებისას, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ მინისტრის განთავისუფლება დაკავშირებული იყო ვაჭრობაში საქმის კატასტროფულ ვითარებასთან, რაშიც საკმაო ბრალი მიუძღვის დარგის ხელმძღვანელს.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის წარდგინებით, უზენაესმა საბჭომ განიხილა და მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი შრომის კანონთა კოდექსისა და საქორწინო და საოჯახო კოდექსში ცვლილებათა შეატანის თაობაზე. მანვე დეპუტატების განსახილველად გამოიტანა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ კანონის პროექტი, რომელიც აზრთა საფუძვლიანი გაზიარების შემდეგ მიიღეს უზენაესი საბჭოს წევრების ხმათა დიდი უმრავლესობით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინადადებით, სესიის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, ინდოეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის ლიდერის რაჯივ განდის ხსოვნას, რომლის მკვლელობამ შეადრწუნა მთელი მსოფლიო.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანი გიორგი გულბანი, რომელმაც პარლამენტართა განსახილველად გამოიტანა სანორმატივო აქტების მთელი რიგი პროექტები. უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“, აგრეთვე კანონები „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ და „სა-



ქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მოქმედების შეჩერების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დეზერტირებისათვის. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა შეიქმნას საგანგებო კომისია მოქმედ კანონმდებლობაში შესაბამისი დამატების შეტანისათვის.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ცალკეული აქტუალური საკითხების გამო განცხადებებითა და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები გერმანე ფაცაცია, როინ მეტრეველი, რევაზ ქემულარია, ვიქტორ დომუხოვსკი, ალექსანდრე ვარძელაშვილი და ალექსანდრე ქობულაშვილი. განმარტება კონკრეტული საკითხის გამო დამსწრეთ მისცა უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ გელანტიამ.